განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

ქალაქი ბათუმი,
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების მეორე სტადია

ინიციატორი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მის: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N10.
მიმწოდებელი: შპს „სმარტ დეველოპმენტი“, ს/ნ: 445571159 მის: ქალაქი ბათუმი, კოტე აფხაზის ქ., N 43.

დაინტერესებული პირები:
- ქალქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ქალქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

გეგმარებითი ერთეული: მოიცავს ქალაქ ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. N43, 47, 53-ში არსებულ მიწის ნაკვეთებს საკადასტრო კოდებით: 05.32.03.215; N05.32.16.239; N05.32.03.101; N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.16.242.

საფუძველი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 02 ნოემბრის N1373 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. N43, 47, 53-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 05.32.03.215; N05.32.16.239; N05.32.03.101; N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.16.242) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის N გ-15. 15230898 განკარგულება „ქალაქ ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.03.101; N05.32.16.239; 05.32.03.215; N05.32.16.242 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“.

ქალაქი ბათუმი,
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის
პროექტი

დოკუმენტის შემდგენელი პირები:

ზვიად ბურჭულაძე - არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი



ლევან ზაზაძე - ეკოლოგიის და გარემოს დაცვის დოქტორი



ირაკლი ბურჭულაძე - ინჟინერ-ეკონომისტი, ნავთობისა და გაზის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო განხრით სპეციალისტი



სერგო ჭყონია - ფიზიკა ინფორმატიკა გამოთვლითი ტექნიკა დიპლომირებული სპეციალისტი, გეოსაინფორმაციო სისტემის, წყალმომარაგების ქსელის, მაღალტექნოლოგიურ სხვადასხვა გამზომი მოწყობილობებით მონაცემების მართვისა და ანალიტიკის სპეციალისტი



მერაბ წივწივაძე - მიწათმომწყობი



სულხან მამუჭაძე - არქიტექტორი, იურისტი



ბიძინა ბიბილეიშვილი - ავტომობილების და საავტომობილო მეურნეობის ინჟინერი



ტარიელ ტუსკია -ინჟინერ-გეოლოგი, გეოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური ხარისხის დოქტორი



ნუგზარ ჩხაიძე - სოციოლოგი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ფილოსოფიის დოქტორი



მაია მოწყობილი - მთარგმნელ-რეფერენდი, პედაგოგი



ტარიელ გოგიშაიშვილი - ინჟინერ ელექტრიკოსი



1. გრაფიკული ნაწილი 5
1.1 განაშენიანების დეტალური გეგმა 6
2. ტექსტური ნაწილი 7
2.1. შემოკლებათა ახსნა 8
2.2. ტერმინთა განმარტება 8
2.3. შესავალი 10
2.4. განაშენიანების დეტალური გეგმის დასაბუთება 11
2.5. განაშენიანების მართვის რეგლამენტი 61
2.6 საპროექტო ნაკვეთის განაშენიანების ესკიზი 63
2.7. ინიციატივის გადაწყვეტილება, საკადასტრო მონაცემები და მიმწოდებლის რეკვიზიტები 71
2.8. სამართლებრივი საფუძვლები 72
2.9. დაგეგმვის გუნდი და კვალიფიკაცია 80
2.10. გამოყენებული დოკუმენტები 82
3. დანართები 83

1. გრაფიკული ნაწილი

1.1 განაშენიანების დეტალური გეგმა



ფუნქციურ ზონა
საცხოვრებელი ზონა - სზ

ფუნქციურ ქვეზონა
მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა - სზ4

უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული და საგამონაკლისო სახეობები:
ეგმარებით ერთეულში, (ისევე როგორც დაგეგმვისწინა მდგომარეობისა) გამოყენების ნებადართული სახეობებია:
ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (დომინირებული სახეობა);
ბ) ხარვეზიანი სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
გ) კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განაშენიანებას;
დ) საოლქშეღწევი და საყოველთაო აღნიშნულება;
ე) მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამუზეალო თემების პრინციპებს;
ვ) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვითა და სასპორტო ობიექტი;
ზ) სასტუმრო;
თ) პროფესიული სასწავლებელი;
ი) ოფისი;
კ) საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
ლ) ადმინისტრაციული ობიექტი;
მ) ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;
ნ) ავტოსატრანსპორტო სამეულების მომსახურების ობიექტი.

საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:
ა) სამწარმოო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემების პრინციპებს;
ბ) სავაჭრო ცენტრი;
გ) უმსხვილესი სასწავლებელი და პროფესიულ- ტექნიკური სასწავლო დაწესებულება.

განაშენიანების ძირითად პარამეტრები და ზღვრული მაჩვენებლები;

გეგმარებითი ერთეულის მიმართ დადგენილი განაშენიანების რეგულირების პარამეტრები:

სამშენებლო ზონები - საცხოვრებელი ზონა (სზ)
სამშენებლო ქვეზონები - მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-4)
კ-1 -0,4 კ-2 - 4,2 კ-3 - 0,3
განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ) - 51,38

განაშენიანების რეგულირების ძირითად პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

განაშენიანების სახეობა
განაშენიანების სახეობა - ღია (დალეკე მდგომი, შეტყუპებული).

განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები) გავლებულია საკადასტრო საზღვარზე.

განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) გავლებულია ქუჩის მხარეს გავლებული წითელი ხაზიდან 7-12 მ-ში, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან 5 მ-ში,

სამშენებლო მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი შეადგენს - 600 კვ.მ.

განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე - 5138 მ.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე ავტოსადგომების რაოდენობა - 150 ავტოსადგომი მიწისქვეშა, 50 ღია (ეზოში) ავტოსადგომი, სულ 200 ავტომანქანა.

ესთეტიკურ პარამეტრები:
საინჟინრო ინფრასტრუქტურის განთავსება უნდა განხორციელდეს არსებულ მიწისქვეშა არხებში- ღარებში ან/და გვირაბებში. თუ ტერიტორიაზე არ არსებობს მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა ან/და შეუძლებელია ამ ინფრასტრუქტურის გამოყენება, მაშინ აღნიშნული უნდა განხორციელდეს ახალი ტრანშეების მოწყობით, სარეცხის საშრობ -გასაფენი, გათბობის, კონდიციორების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/ დანადგარები უნდა განთავსდეს შენობის შიგნით. სხვა შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი შემოსივრშენილება დეკორატიული ელემენტებით (ალაბრი, ცარანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ- მხატვრული მხრე ფასადებთან ერთად ერთიან სისტემას უნდა ქმნიდეს. არ არის რეკომენდირებული ასეთი მოწყობილობა/დანადგარების საზოგადოებრივი სივრცის მხარე განთავსება.
ანტენები (სატელიტური, სატელევიზიო და სხვა) უნდა განთავსდეს სახურავზე. ტექნიკური აღჭურვილობის შემთხვევაში დასაშვებია მათი განთავსება შენობის ფასადზე, გარდა ქუჩის მხარეს გამომავალი ფასადისა.

შემოღობვის პირობები:

მიწის ნაკვეთი ისე უნდა იქნეს შემოღობილი, რომ უზრუნველყოფილი იქნეს განათებულობის, განივების, დასახლების იერსახის ესთეტიკური ხარისხის შენარჩუნების ესთეტიკურობის შენარჩუნება და სხვა საუარო ინტერესების დაცვა.
მიწის ნაკვეთის შემოღობვა შესაძლებელია:
ა) მიწის ნაკვეთის საზღვრებში ან საზღვრის პირზე;
ბ) მიწის ნაკვეთის საზღვრებზე (საზიარო საზღვარი).
წინა ეზო (საჭიროების შემთხვევაში) : ცრუ ღობე ან ღობის ნაწილი - 0.8 მეტრამდე: გამქვირავალ ლითონის გისოსებიანი ღობე - 1.8 მეტრამდე
უკანა ეზო (საჭიროების შემთხვევაში); - 1.8 მეტრამდე
გვერდითი ეზო მიწის ნაკვეთის მხარეს (საჭიროების შემთხვევაში); - 1.8 მეტრამდე
გვერდითი ეზო წინა ეზოს ნაწილში (საჭიროების შემთხვევაში) : ცრუ ღობე ან ღობის ნაწილი - 0.8 მეტრამდე: გამქვირავალ ლითონის გისოსებიანი ღობე - 1.8 მეტრამდე

გამწვანების პირობები:

გეგმარებით ერთეულზე, როგორც მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში, მრავალბინიანი სახლის ეზოებში და საზოგადოებრივი სარეკლობის ტერიტორიებზე დენდეგის გამწვანების ვალდებულება მინიმუმ კ-3-ით განსაზღვრულ არეალში.

ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და საზოგადოებრივ სიგეზში არსებულ ხეს შორის არ უნდა იყოს 1 მეტრზე ნაკლები, თუ დაგეგმილი შენობა/ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 5 მეტრს. სხვა შემთხვევაში დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა.

დადგენილი მოთხოვნებისგან გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დენდროლოგიური დასკვნის საფუძველზე, ხე-ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით ან/და მათი შენარჩუნების პირობით.



განაშენიანების დეტალური გეგმა

მიწ. ნ. 5აიუშის კორპ. ტიპაზის 43 47 53 სა.ნ 05.32.16.227; 05.32.16.228; 05.32.16.230; 05.32.03.101; 05.32.16.239; 05.32.03.215; 05.32.16.242

განაშენიანების დეტალური გეგმა

ექსპლიკაცია

- გეგმარებითი ერთეული
- საკადასტრო საზღვარი
- საერთო სარგებლობის ტერიტორია - სერვიტუტი
- არსებული შენობა
- საპროექტო შენობა
- ქუჩის ტერიტორია
- სზ3 მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა სზ-4
- განაშენიანების რეგულირების წითელი ხაზი
- განაშენიანების რეგულირების ლურჯი ხაზი

განაშენიანების სახეობა
0 ცალკე მდგომი, 1 შეტყუპებული

ქალაქმშენებლობითი კოეფიციენტები
0,4 - კ1, 4,2 - კ2, კ³0,3 - კ3

X ნაძს. დასაშვები სრთ.

TH მაძს. სიმაღლე ქუჩის დონიდან

საპროექტო საბაყშო ბაღი

საინჟინრო ინფრასტრუქტურა

- ტერიტორია
- წყალარინება სანიაღვრე
- ელექტროენერგია
- წყალარინება საყოფაც.
- სასმელი წყალი
- გაზსადენის არონი

- ხე
- ელ. ბოძი
- ქუჩის ღობე
- მაკეთილის ღობე
- ჭიშკარი
- ჭა-ჭაბურღილი
- ლუქი

დამტკიცებულია
ბაიუშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს -----, 2023 წ.
№ ---------- განკარგულებით

ინიციატორი / შემსრულებელი
შპს სპარტ დეველოპმენტ
კრებულ ინიციატივის საშუალებით

შემოსანხმებელი
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

შემოწმების საშუალებით
„სახარულოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" საქართველოს კანონი;
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილება „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ";
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილება „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ" ;
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 02 ნოემბრის N1373 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. N43, 47, 53-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს .კ. 05.32.03.215; N05.32.16.239; N05.32.03.101; N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.16.242) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციირების თაობაზე".

მაშტაბი
10 0 10 20 30 40

ჩ

2. ტექსტური ნაწილი

2.1. შემოკლებათა ახსნა

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები აიხსნება შემდეგნაირად:

1) ბათუმი – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი, საკუთარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში;
2) განაშენიანების მართვის რეგლამენტი – გეგმარებით ერთეულის განაშენიანების გეგმის (და/ან განაშენიანების დეტალური გეგმების) ტექსტური ნაწილი, შედგენილი გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად;
3) გდგ – განაშენიანების დეტალური გეგმა, კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად;
4) გეგმარებითი ერთეული – გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დავალებით არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.03.101; N05.32.16.239; N05.32.03.215; N05.32.16.242) გდგ შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;
5) გეგმების შემუშავების წესი – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;
6) გის – გეოინფორმაციული სისტემა;
7) დაგეგმარება – სივრცის დაგეგმარება (პროექტირება);
8) დაგეგმვა – სივრცითი განვითარების დაგეგმვა და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა;
9) დსს – კოდექსის მე-*14* მუხლით გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა“;
10) დღე – კალენდარული დღე, გარდა ტექსტში სპეციალურად მითითებულისა;
11) კვლევა – ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობებით, მიმწოდებლის მიერ ჩატარებული გეგმების კონცეფციების შემუშავებისთვის საჭირო მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;
12) კოდექსი – „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი (N3213-რს, 2019 წ);
13) მერია – ბათუმის მერია;
14) მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
15) საკრებულო – ბათუმის საკრებულო;
16) სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
17) სამსახური – მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური;
18) სანაპირო ზოლი – შავი ზღვის სანაპირო ზოლი ბათუმის გასწვრივ;
19) საპროექტო მომსახურება – წინამდებარე დავალების საფუძველზე დადგენილი გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება და შემსყიდველისთვის მიწოდება;
20) საჯარო რეესტრი – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;21) სგშ – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;
22) სნდწ – სამშენებლო ნორმები და წესები;
23) ძირითადი დებულებები – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“.

2.2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

(1) აეროფოტო — საჰაერო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
(2) განაშენიანების ესკიზი — ქალაქგეგმარებითი ესკიზური პროექტი, რომელიც გდგ მიზნებისთვის არქიტექტურული დაგეგმარების ენაზე ასახავს გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისი ფიზიკური გარემოს სამომავლო სურათს;
(3) დენდროლოგია — მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღწუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით;

(4) დრონი — ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;
(5) ესთეტიკური პარამეტრები — შენობა-ნაგებობის ესთეტიკური წყობის განმსაზღვრელი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც და რომლის მაჩვენებლებიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, დაგეგმვის მიზნების და/ან დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისად;
(6) კომპიუტერული გრაფიკა — კომპიუტერული ტექნოლოგიის (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა) გამოყენებით შექმნილი/მიღებული გრაფიკა;
(7) ვიზუალიზაცია — დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);
(8) ზედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართო, მთლიან სისტემაზე;
(9) ინტერეს-წერტილი — სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;
(10) კომიუტერი — ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათშორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-ღამის ინტერვალით;
(11) კოსმოფოტო — სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
(12) ლიდარი — მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტამდე, მასზე ლაზერის სხივის მინათებით;
(13) ლიმიტაცია — გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;
(14) მაკომპენსირებელი ღონისძიება — კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიება, რომელიც აუცილებელია ძირითადი დებულებებით დადგენილი კ¹/კ² ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისას.
(15) მასშტაბი — ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი;
(16) ორთოფოტოგადაღება — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ-მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
(17) საბაზისო რუკა — გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი
განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მზადდება ციფრული (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან ბეჭდური (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;
(18) საზოგადოებრივი სივრცე — განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვიტუტის გამოყენებით;
(19) საკვლევი არელი — წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც საწყის ეტაპზე ემთხვევა გეგმარებით ერთეულს და დამატებით დაზუსტდება განაშენიანების გეგმის კონცეფციების შეფასებისას, მერის/სამსახურის გადაწყვეტილებით;
(20) საკოორდინატო ბადე — მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლიობა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;
(21) სამშენებლო პოტენციალი — ტერიტორიის განაშენიანებისა ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;
(22) საცხოვრებელი სიმჭიდროვე — ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვის ნაირსახეობა, სამშენებლო ტერიტორიაზე საბალანსო ერთეულისთვის დადგენილი საცხოვრებელი ერთეულის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე (სფ/ჰა) ან შენობაში (სფ/შ), დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად;
(23) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) გეგმა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს ინტერესებში;
(24) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) რუკა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
(25) უფლებრივი გარემო — საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების ერთობლიობა, მათ შორის გამოხატული რეგლამენტებში, რეჟიმებში, ვალდებულებებში, საჯარო თუ კერძო ინტერესებში;
(26) ფიზიკური გარემო — ბუნებრივი გარემოსა და კულტურული (ანთროპოგენური) გარემოს ერთობლიობა;
(27) ფოტოგრამმეტრია — სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგამოსახულების მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული მახასიათებლების განსაზღვრისთვის;
(28) ფოტოფიქსაცია — ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით,კონკრეტულ დროში მისი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით;

(29) ქვედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მიკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც ფოკუსირებულია უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის მონაცემებზე და თავისებურებებზე; სადაც დაგეგმვის მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი, კონცენტრირებულია მთლიანის ნაწილებზე და მათ ფუნქციონირებაზე;
ყველა სხვა ტერმინი, რაც მოცემულია ხელშეკრულების ან წინამდებარე დავალების ტექსტში და არაა განმარტებული ამ მუხლში, გამოიყენება კოდექსის, მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი სფეროს მოქმედ კანონმდებლობაში გამოყენებული მნიშვნელობითა და/ან მიზნებით.

2.3. შესავალი

წინამდებარე დაგეგმვის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ტაქსონომიური დონე იერარქიულად წარმოადგენს ქვედა დონეს და მიეკუთვნება ქალაქთმშენებლობის გეგმებს.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-11 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი წარმოდგენილია გრაფიკული და ტექსტური ფორმით. გდგ-ს, როგორც ქვედა ტაქსონომიური დონის გეგმისათვის, გრაფიკული ნაწილი არის ძირითადი და ტექსტური ნაწილი – მისი დამხმარე.

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი შემუშავებულია „ქალაქ ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. N43, 47, 53-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 05.32.03.215; N05.32.16.239; N05.32.03.101; N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.16.242) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 02 ნოემბრის N1373 ბრძანების და თანდართული დავალების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს შესაბამისად.

განაშენიანების დეტალური გეგმა წარმოადგენს ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტს. განაშენიანების დეტალური გეგმის მოქმედების არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მშენებლობა ნებადართულია ამ გეგმის შესაბამისად. განაშენიანების დეტალური გეგმა არის მშენებლობის ნებართვის გაცემის ძირითადი საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ გდგ-ს სისტემური რევიზიისას დღის წესრიგში დადგა განვითარების ხედვის ცვლილების საკითხი, აუცილებელია ახალი გდგ-ს შემუშავება. განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცვლილების შეტანის ინიცირების უფლება აქვს შესაბამის ინიციატორს, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან სხვა ნებისმიერ პირს, შესაბამისი დასაბუთების წარდგენის საფუძველზე. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობით გეგმებში ცვლილება შეიტანება ახალი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

განაშენიანების დეტალური გეგმა შედგენილია შემდეგი ასპექტების დაცვით:

- ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნა;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- დასახლებათა სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობი;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- მიწის რაციონალური გამოყენება;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
- ტერიტორიების განახლებისათვის ან/და ინტენსიფიკაციისათვის, მიწის მომჭირნედ და დაზოგვით გამოყენება, სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ტერიტორიის ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება სხვა ერთეულებთან პარტნიორობის საფუძველზე;
- ინფრასტრუქტურის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება, სხვა მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების დაძლევა.

2.4. განაშენიანების დეტალური გეგმის დასაბუთება

I. დაგეგმვის ობიექტი და გდგ-ს შემუშავების წინაპირობები

დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. N43, 47, 53-ში არსებული მიწის ნაკვეთების (ს.კ. N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.03.101; N05.32.16.239; N05.32.03.215; N05.32.16.242) სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება.

გდგ-ს შემუშავების წინაპირობაა წინასაპროექტო კვლევა, მათ შორის ფიზიკური გარემოს - სივრცითი, ინფრასტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევა, ასევე უფლებრივი გარემოს, დოკუმენტური მონაცემების შესწავლა და დაინტერესებულ პირთა, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებებისა და ინტერესების განხილვა/შეწონვა (იხ.დანართი).

გეგმარებითი ერთეულის გდგ-ს შემუშავების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ ეტაპზე შემუშავდა და დამტკიცდა გდგ-ს კონცეფცია, რომლის საფუძველზე შემუშავდა გდგ-ს პროექტი.

2. დაგეგმვის საჭიროება, ინიციატივა, მიზნები და პრინციპები

გეგმარებითი ერთეულის (საკ.კოდები: 05.32.16.227; 05.32.16.228; 05.32.16.230; 05.32.03.101; 05.32.16.239; 05.32.03.215; 05.32.16.242) სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია დადგენილი კ2 მაჩვენებლის გადამეტება, რაც წარმოადგენს სწორედ საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კ1/კ2 მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი - გდგ, რაც იწვევს დაგეგმვის საჭიროებას და შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2020 წლის 02 ნოემბერს გამოცემულ იქნა N1373 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. N43, 47, 53-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. N05.32.16.227; N05.32.16.228; N05.32.16.230; N05.32.03.101; N05.32.16.239; 05.32.03.215; N05.32.16.242) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას კ2-4,2-მდე. საპროექტო ნაკვეთები ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში (სზ), ხოლო განაშენიანების გეგმის მიხედვით კი მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში (სზ-4), სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2=2,5-ს.

განაშენიანების დეტალური გეგმის მიზანია გეგმარებითი ერთეულის სამშენებლოდ განვითარებისათვის ქალაქთგეგმარებითი ასპექტებისა და პრინციპების დაცვით, მასში მოქცეული ტერიტორიის გამოყენების დადგენილისაგან განსხვავებული პირობების განსაზღვრა (მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით), მათ შორის ქალაქმშენებლობის პარამეტრების, განაშენიანების და სხვა პირობების განსაზღვრა.

დაგეგმვის მიზნებია:
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
- ტერიტორიის განახლება და განვითარება;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ტერიტორიის ფუნქციურ მდგრად ერთეულად ჩამოყალიბება.

ქალაქმშენებლობითი გეგმის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების ჰარმონიზაციას. ეს პრინციპებია:

- ადამიანისათვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარებისათვის შესაბამისი წინაპირობების შექმნა;
- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;

▪ მიმზიდველი და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შექმნა;
▪ მიწის რაციონალური გამოყენების პრინციპი;
▪ ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
▪ მომსახურებისა და სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი ტერიტორიული წინაპირობების შექმნით ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
▪ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება,

3. გეგმარებითი ერთეულის აღწერა

3.1. გეგმარებითი ერთეულის საერთო ფართობი და საზღვრები

გეგმარებითი ერთეული მოიცავს 7 მიწის ნაკვეთს და მისი საერთო ფართობი შეადგენს 9 745,00 კვ.მ-ს, კერძოდ ფართობების მიხედვით:

მიწის ნაკვეთი		
საკადასტრო კოდი		ფართობი კვ.მ.
1	**2**	**3**
1	05.32.16.227	143,00
2	05.32.16.228	560,00
3	05.32.16.230	177,00
4	05.32.03.101	2502,00
5	05.32.03.215	1900,00
6	05.32.16.239	4394,00
7	05.32.16.242	69,00

ჯამი	9 745,00



Объект оценки – земельный участок

Земельный участок в составе земель населенных пунктов

3.2. ორთოფოტოფიქსაცია



3.3. გეომორფოლოგია

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს კახაბრის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვიურ ტერასაზე, იმავდროულად მდინარე ჭოროხის ჭალისზედა ტერასაზე, მისთვის დამახასიათებელი მარტივი და სწორი ზედაპირით, ზღვის სანაპირო ზოლიდან 750 მ. დაცილებით. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, ტერიტორია წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს, რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის შედეგად. რელიეფი ჰორიზონტალურია. გეოლოგიური ჭრილი აგებულია მეოთხეული ასაკის, ზღვიური ტერასის ალუვიურ-დელუვიური, ზღვიურ-ალუვიური და წმინდა ზღვიური გენეზისის წარმონაქმნებით.

გამოყოფილია ბუნებრივი დალექვის ლითოლოგიური შრეები:

შრე 1 - მურამოყავისფრო შეფერილობის ძნელადპლასტიური მსუბუქი დელუვიური თიხნარი;

შრე 2 - მაღალი სიმკვრივის კენჭნარი ერთეული ყორექვების ჩანართებითა და ქვიშა-ხრეშოვანი შემავსებლით;

შრე 3 - საშუალო სიმკვრივის ზღვიურ-ალუვიური ხრეშოვანი გრუნტი 20%-მდე კენჭნარი ფრაქციის შემცველობით და ძირითადად მსხვილი ხრეშოვანი შემავსებლით;

შრე 4 - საშუალო სიმკვრივის მსხვილმარცვლოვანი ქვიშები ერთეული კენჭების ჩანართებით;

შრე 5 - საშუალო სიმკვრივის საშუალომარცვლოვანი ქვიშები ერთეული კენჭების ჩანართებით;

შრე 6 - მუქი ნაცრისფერი შეფერილობის ზღვიური გენეზისის რბილპლასტიური თიხები;

შრე 7 - მაღალი სიმკვრივის წვრილმრცვლოვანი ქვიშები ხრეშის თხელი ლინზებით;

შრე 8 - მუქი ნაცრისფერი შეფერილობის მაღალი სიმკვრივის ქვიშნარ-მტვეროვანი ალევრიტები ძნელადპლასტიურითიხების თხელი ლინზებით.

გრუნტის წყლები გახსნილია დაახლოებით 1,5-3,0 მ. სიღრმეზე. ლითოლოგიური ჭრილი დაზუსტდება პროექტის განხორციელებისას.

ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში.



აჭარის რეგიონი
სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში მოქცეული დასახლებული პუნქტები
მასშტაბი: 1:250 000



პირობითი ნიშნები

- შუახევის მუნიციპალიტეტი
- ქედის მუნიციპალიტეტი
- ქობულეთის მუნიციპალიტეტი
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
- ხულოს მუნიციპალიტეტი
- სახელმწიფო საზღვარი
- საავტომობილო გზა
- რკინიგზა
- ნავთობსადენი
- მდინარეები
- ტბები და წყალსაცავები
- მეწყერი
- ღვარცოფი
- ეროზია
- ზღვისა და წყალსატევების ნაპირების გარეცხვა
- სტიქიური პროცესებით განსაკუთრებით დაძაბული უბნები
- დასახლებული პუნქტები. (ფერი წრეში აღნიშნავს მის ფარგლებში განვითარებულ ს.გ.პ. წითელი შრიფტით გამოყოფილია პუნქტები, სადაც 2014 წელს მოსალოდნელია ს.გ.პ გააქტიურება)
- 2013 წელს გააქტიურებული ან ახლადწარმოქმნილი პროცესი


სამიზნე ტერიტორია



სეისმური საშიშროების რუკის დანართის ამონარიდი

	დასახლებული პუნქტი	მხარე	მუნიციპალიტეტი	საკრებულო	A-სეისმურობის განზომილებო კოეფიციენტი	ბალი (MSK64 სკალა)
519	ქ. ბათუმი	აჭარა	ქ. ბათუმი		0.09	7

შენობაზე სეისმური ზემოქმედების საანგარიშო ინტენსიურობა, ბალი	საანგარიშო მნიშვნელობა
7	0,80
8	0,65
9	0,50
10	0,35



3.5. კლიმატი

კლიმატური თვალსაზრისით, საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებულია ზღვის სუბტროპიკული კლიმატის ნოტიო ოლქის ჰავა. ტერიტორიის ნაწილი (სანაპირო ზოლი) მიეკუთვნება ზღვის ნოტიო კლიმატურ ზონას რბილი, თბილი, უთოვლო ზამთრით და ცხელი ზაფხულით. აღნიშნული ზონის ფარგლებში, რომელიც ვრცელდება კოლხეთის დაბლობზე, კლიმატური თავისებურებებით გამოიყოფა რამდენიმე ქვეზონა. მათ შორის, აჭარის სანაპირო ზოლი, რომელსაც მიეკუთვნება საკვლევი რაიონი და სადაც ზონის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით, ჭარბად ნოტიო კლიმატია მთელი წლის მანძილზე გაბატონებული ზღვიდან მონაბერი ქარებით. სანაპირო შავი ზღვის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება. ადგილის რელიეფი ასევე განაპირობებს ნალექების სიუხვეს დასავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დროს. შედეგად, აჭარის სანაპირო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე გამოირჩევა თბილი, რბილი და ტენიანი კლიმატით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს 1–1/1743 ბრძანებით დამტკიცებული `სამშენებლო კლიმატოლოგია(ᲔᲜ 01.05-08)~-ს მიხედვით:
ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა: -9;
ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა: +41;
ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: +14.5;
ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში): 81%
ნალექების რაოდენობა წელიწადში: 2599 მმ;
ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში: 231 მმ;
ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში: 840 მმ;
თოვლის საფარის წონა: 0.5 კპა;
თოვლის საფარის დღეთა რიცხვი: 10.

სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

(ამონარიდი) ცხრილი 2

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, ^{0}C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, ^{0}C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	2	3	4	5	6
III	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს

სამშენებლო-კლიმატური დარაიონება

(ამონარიდი) ცხრილი 3

N	პუნქტების დასახელება	კლიმატური რაიონები და ქვერაიონები
1	2	3
8	ბათუმი, ქალაქი	IIIბ

საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონება

რუკა - სქემა № 1



მზის ამოსვლის (a) და ჩასვლის (C) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი)

(ამონარიდი) ცხრილი 9

განედი, გრადუსი	ორიენტაცია მხარეების მიხედვით	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
41	ა	7.22	6.54	6.12	5.22	4.43	4.27	4.40	5.09	5.39	6.11	6.48	7.17
	ჩ	16.56	17.34	18.06	18.38	19.09	19.33	19.32	19.01	18.11	17.21	16.40	16.32

ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

(ამონარიდი) ცხრილი 12

N	პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, 0 C												თვის მაქსიმალური, 0 C											
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მარტი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მარტი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
18	ბათუმი, ქალაქი	7,4	7,3	7,5	7,1	7,0	7,3	6,	7,0	7,6	8,2	7,9	7,5	17,4	17,9	19,2	21,2	19,1	18,5	17,5	15,8	16,6	16,0	17,0	15,0

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

(ამონარიდი) ცხრილი 13

N	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენია-ნობის საშ. დღეღამური ამპლიტუდა	
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
18	ბათუმი, ქალაქი	76	78	80	81	82	80	81	83	85	86	83	77	81	70	73	9	12

ნალექების რაოდენობა

(ამონარიდი) ცხრილი 15

N	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
1	2	3	4
18	ბათუმი, ქალაქი	2599	231

თოვლის საფარი

(ამონარიდი) ცხრილი 17

N	პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
1	2	3	4	5
18	ბათუმი, ქალაქი	0,50	10	-

ქარის მახასიათებლები

(ამონარიდი) ცხრილი 19

N	პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%)იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
		1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
18	ბათუმი, ქალაქი	19	24	26	27	28	6/5	6/3	10/3	18/6	14/15	33/33	8/20	5/15	3,8/1,0	2,2/0,8	9	7	8	11	14	31	12	8	43

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

(ამონარიდი) ცხრილი 20

N	პუნქტების დასახელება	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხ-ვილის ხრეშისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
1	2	3	4	5	6
18	ბათუმი, ქალაქი	0	0	0	0

ყველაზე ცივი 5 დღის საშუალო ტემპერატურა, გრადუსები

რუკა - სქემა №7




სამიზნე ტერიტორია
<0°
0° <2°
2° <4°
4° <6°
≥6°


0-50
50-80
80-100
100-200
>200
სამიზნე ტერიტორია



რაიონები	I	II	III	IV	V	VI	VII
W_0 კპა	0,23	0,30	0,38	0,48	0,60	0,73	0,85

3.6. ეკოლოგიური მდგომარეობა

გეგმარებითი ერთეულის ეკოლოგიური მდგომარეობა

გეგმარებითი ერთეულზე არ არის განთავსებული, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებელი ობიექტები და შესაბამისად გეგმარებითი ერთეული არ ახდენს უარყოფით გავლენას ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. მთლიანი ფართობი დაფარულია ნაშენი ტერიტორიით, შედგება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებისაგან. გეგმარებითი ერთეულის მომიჯნავე ქუჩა მოპირკეთებულია ასფალტ-ბეტონის საფარით, გრუნტის წყლები ჩაედინება სანიაღვრე არხებში და ნაკვეთების გრუნტებში. მიმდებარე საჯარო სივრცეში ხე-მცენარეები არ არის წარმოდგენილი, მიწის ნაკვეთებზე დარგულია ციტრუსოვანი კულტურები. ტერიტორიაზე არ ხდება ბუნებრივი რესურსების გამოყენება. ნარჩენების გატანა ხორციელდება ქალაქ ბათუმის ნაგავსაყრელზე. დაცულია აკუსტიკური რეჟიმი, რადგან ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ხმაურით დამაბინძურებელი ობიექტები.

კლიმატური თვალსაზრისით, საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებულია ზღვის სუბტროპიკული კლიმატის ნოტიო ოლქის ჰავა. ტერიტორიის ნაწილი (სანაპირო ზოლი) მიეკუთვნება ზღვის ნოტიო კლიმატურ ზონას რბილი, თბილი, უთოვლო ზამთრით და ცხელი ზაფხულით. აღნიშნული ზონის ფარგლებში, რომელიც ვრცელდება კოლხეთის დაბლობზე, კლიმატური თავისებურებებით გამოიყოფა რამდენიმე ქვეზონა. მათ შორის, აჭარის სანაპირო ზოლი, რომელსაც მიეკუთვნება საკვლევი რაიონი და სადაც ზონის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით, ჭარბად ნოტიო კლიმატია მთელი წლის მანძილზე გაბატონებული ზღვიდან მონაბერი ქარებით.

სანაპირო შავი ზღვის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება. ადგილის რელიეფი ასევე განაპირობებს ნალექების სიუხვეს დასავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დროს. შედეგად, აჭარის სანაპირო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე გამოირჩევა თბილი, რბილი და ტენიანი კლიმატით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია კლიმატური მახასიათებლები ბათუმის აეროპორტის მეტეო სადგურის მიხედვით.

ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ საშუალო ტემპერატურათა მნიშვნელობები (^{0}C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	6.9	6.8	8.7	11.7	15.8	19.5	22.1	22.6	19.8	16.5	12.4	8.9	14.3

ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	3.5	3.3	5.1	7.9	12.5	16.3	19.2	19.4	16.4	12.9	9.1	5.8	11.0

ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	-9	-8	-7	-2	2	9	13	13	7	2	-6	-7	-9

ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	10	11.1	12.9	16.1	20.1	23.2	25.5	26.2	23.9	21.0	16.6	13.0	18.4

ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მაქსიმალურ ტემპერატურათა მნიშვნელობები (^{0}C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	25	28	32	39	39	40	40	40	37	33	30	28	40

ფარდობითი ტენიანობა

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
%	67	71	75	77	79	78	80	81	82	78	70	64	75

ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები (მმ)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მმ	281	228	174	122	92	163	182	255	335	306	304	276	2718

ნისლიან დღეთა რაოდენობა წელიწადში

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
დღე	0.2	0.4	0.7	2	2			0.5			0.2		6

ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა

ჩრდილ.	ჩრდ.აღმ	აღმ.	სამხ.აღმ	სამხ.	სამხ.დას	დას.	ჩრდ.დას	შტილი
4	1	3	54	2	20	11	5	19

ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მ/წმ	7.2	6.4	4.7	3.8	3.0	3.1	2.8	3.1	3.2	4.6	5.7	7.3	4.6

ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა

t °C	I	II	II	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
საშ	5	6	9	14	19	24	26	25	21	16	11	7	15
საშ.მაქს.	12	13	18	26	33	39	40	39	34	28	19	14	26
აბს. მაქს.	28	34	40	54	55	61	64	60	54	46	34	30	64
საშ. მინ.	1	1	3	6	11	15	18	18	15	11	7	3	9
აბს.მინ.	-11	-10	-9	-5	-1	6	10	10	4	-1	-9	-11	-11

ჰაერი

გარდა ბათუმის ნავთობტერმინალისა, ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფილის წარმოებები, ასეთი შესაძლოა იყოს: მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა, საწვავის შენახვა/რეალიზაცია და სხვა. მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი.

ქ. ბათუმში არსებული სადამკვირვებლო სადგურები, სადაც პერიოდულად ხდება ჰაერის დამაბინძურებლებზე დაკვირვება, განთავსებულია რუსთაველის ქუჩაზე (დრამატულ თეატრთან), ანგისის პოლიციის შენობასთან, ლ. ასათიანის ქუჩაზე (ყინულის სახლთან), მაიაკოვსკის ქუჩაზე (ტერმინალის ცენტრალურ შესასვლელთან) და ფერიის მთაზე (საბაგიროს სადგურთან). ამის გარდა, აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებულ სადგურზე ჰაერის დამბინძურებლებზე დაკვირვება მიმდინარეობს საათობრივად, ხოლო დანარჩენ სადგურებზე – გარკვეული პერიოდულობით. არსებული სადგურებზე ხდება მტვრის, გოგირდის დიოქსიდის, აზოტის ოქსიდების და სხვა დამაბინძურებლების გაზომვა.

ცხრილი 1 გარემოს ეროვნული სააგენტოს სადგური მონაცემები 2021 წლის იანვრის თვე, (NO_2, SO2, PM2.5, PM10, O_3 -მკგ/მ³; CO-მგ/მ³)

	NO_2	SO_2	PM2.5	PM10	O_3	CO
1	*	3.20	86.11	120.39	28.20	5.51
2	*	0.52	37.92	55.07	18.96	1.91
3	*	1.29	24.21	37.23	16.02	1.20
4	*	3.46	67.15	85.06	18.25	2.10
5	*	2.54	27.59	48.20	52.90	1.66
6	*	1.19	27.72	52.84	41.25	1.63
7	*	2.84	40.68	63.51	14.29	1.41
8	*	5.12	31.06	49.69	16.31	2.38
9	*	3.41	38.03	62.75	37.14	2.09
10	*	1.32	33.96	63.33	27.67	2.25

11	*	1.86	23.61	38.36	16.35	0.76
12	*	2.72	16.95	21.94	12.78	1.30
13	*	0.07	13.32	23.70	30.49	0.57
14	*	0.87	6.86	18.88	30.37	0.13
15	*	0.79	7.57	10.79	25.59	0.51
16	*	1.07	11.18	15.45	23.30	0.51
17	*	0.18	16.51	22.73	37.68	0.57
18	*	0.44	6.38	11.71	27.85	0.22
19	*	0.83	7.43	9.79	33.34	0.53
20	*	0.79	12.48	13.72	28.55	0.59
21	*	1.67	14.01	15.11	28.07	1.52
22	*	2.32	14.37	15.61	31.50	1.62
23	*	2.28	14.83	23.91	38.93	1.55
24	*	1.98	24.61	42.12	47.77	1.49
25	*	1.99	13.27	31.18	45.15	1.01
26	*	1.62	14.69	47.76	59.46	0.76
27	*	0.19	14.76	51.51	56.34	0.55
28	*	0.82	16.60	63.34	73.22	0.05
29	*	0.99	9.47	21.14	27.24	0.22
30	*	2.02	8.26	12.95	20.69	0.60
31	*	0.83	14.51	26.45	52.48	0.62

ცხრილი 2 საშუალო სადღეღამისო და ერთჯერადი მაქსიმალური ზღვრულად დასაშვები მაჩვენებლები.

დამაბინძურებელი	საშუალო სადღეღამისო მგ/მ³	მაქსიმალური ერთჯერადი მგ/მ³
მტვერი	0.15	0.5
გოგირდის დიოქსიდი	0.05	0.5
ნახშირჟანგი	3.0	5.0
აზოტის დიოქსიდი	0.04	0.2
აზოტის ოქსიდი	0.06	0.4
ოზონი	0.03	0.16

როგორც ცხრილი 12-დან ჩანს, ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში სხვადასხვა დამბინძურებლების კონცენტრაცია ხშირად აჭარბებს დასაშვებ ნორმებს.

წყალი

დაბინძურების ყველაზე დიდ წყაროს მუნიციპალური ჩამდინარე წყლები წარმოადგენს, რომელიც აბინძურებს დიდ ქალაქებთან გამდინარე მდინარეებს მათი დინების მიმართულების გასწვრივ ორგანული ნივთიერებებით, შეწონილი ნაწილაკებით, დეტერგენტებითა და სხვა ნივთიერებებით, ასევე ზედაპირულ წყლები ბინძურდება - მძიმე ლითონებით, ნავთობპროდუქტებით და სხვა სახიფათო ნივთიერებებით კონკრეტულ ადგილებში.

მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის შერჩეული ტერიტორია მდებარეობს მდ. მეჯინისწყალიდან 320 მეტრში (პირდაპირი უმოკლესი მანძილი), მდინარის მნიშვნელოვანი ნაწილი დასახლებულ პუნქტებში გაივლის, მათ შორის, ქ. ბათუმის ტერიტორიას. მდინარის წყალი დაბინძურებულია, მის კალაპოტში ფიქსირდება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენები. მდინარეების მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ზღვაში ჩამდინარე მდინარეების კალაპოტებში და სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიებზე მუნიციპალური ნარჩენების უკონტროლო განთავსება სანაპირო ზოლებისა და წყლების დაბინძურებას იწვევს. ეს, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის გარემოს, ზღვის ცოცხალ ორგანიზმებს და ადამიანის ჯანმრთელობას

შავ ზღვას საფრთხეს უქმნის საქართველოს ნავსადგურებში ზღვის წყლის დაბინძურება ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით. დაბინძურების განსაკუთრებით მაღალი დონე აღინიშნება საზღვაო ნაოსნობის გზებზე (დაახლოებით 0.3 მგ/ლ). შესაძლებელია ამის მიზეზი გემებიდან ბალასტური წყლების გაშვება იყოს. ბალასტური წყლების მიმღები და გამწმენდი სპეციალური ინფრასტრუქტურა მხოლოდ რამდენიმე ნავსადგურშია (მაგ. ბათუმის ნავთობის ტერმინალი) მოწყობილი.

ნიადაგი

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე გავრცელებულია ძირითადად ანთროპოგენული ნიადაგები. მათ დაკარგული აქვთ ბუნებრივი შენება და ნიადაგის ზედა ნაწილი განიცდის ძლიერ ანთროპოგენულ ზეგავლენას. ზღვის სანაპიროს გასწვრივ წარმოდგენილია კარბონატული ალუვიური ნიადაგები. ქალაქის სამხრეთით, კახაბრის ვაკის ფარგლებში, მჟავე ალუვიური ნიადაგებია. აღმოსავლეთით გავრცელებულია წითელმიწები, რომელთაც გათიხება და მძლავრი პროფილი ახასიათებთ.

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნიადაგის/გრუნტის დაბინძურებას სახიფათო ნარჩენებითა და ჩამდინარე წყლებით. ამ მხრივ, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია ბათუმის ნავთობტერმინალი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. ასევე ყოფილი და არსებული საწარმოო და ნაგავსაყრელის ტერიტორია. ბათუმის ტერიტორიაზე შეგროვებული საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენები თავსდება ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, რომელიც მოუწესრიგებელია და აბინძურებს ნიადაგსა და გრუნტს. მუნიციპალური ნაგავსაყრელი ასევე უარყოფით ზეგავლენას ახდენს წყლის გარემოზე, რადგან ის მდინარე ჭოროხის კალაპოტის სიახლოვეს მდებარეობს.

აკუსტიკური რეჟიმი

გეგმარებით ერთეულის მიმართ აკუსტიკური რეჟიმი რეგულირდება:

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით;
- „ქ. ბათუმში, ღამის საათებში ფეიერვერკების და სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენების შეზღუდვის ღონისძიებათა შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 26 ივნისის N105 განკარგულებით;
- „საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ზონებში გადაჭარბებული ხმაურის (მუსიკალური ჟღერადობის) აღკვეთის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 30 ივლისის N124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 21 მაისის #122 განკარგულებით;

ზემოთხსენებული განკარგულების მიხედვით განსაზღვრულია დასაშვები დონეები:

ა) მუსიკალური ანსამბლების გამოსვლების დროს _ 80 LA ექვ. დბ. A და 85 LA მაქ. დბ.A A;
ბ) ელექტროაკუსტიკური სისტემების მუშაობის დროს _ 65 LA ექვ. დბ. A და 70 LA მაქ. დბ. A;
გ) ყველა ტიპის საკვებ-გასართობ დაწესებულებაში, რომლებიც განთავსებულნი არიან „ძველი ბათუმის“ ტერიტორიაზე, ასევე ქალაქის სხვა დანარჩენ ნაწილში მდებარე საცხოვრებელ შენობებში ან მათ უშუალო სიახლოვეს 07.00 საათიდან 24.00 საათამდე - 25 LA ექვ. დბ. A და 30 LA მაქ. დბ. A (გაზომვის პარამეტრი დაწესებულებიდან 10 მეტრის რადიუსში), ხოლო 24.00 საათიდან 07.00 საათამდე აიკრძალოს მუსიკალური ანსამბლების, ელექტროაკუსტი¬კური სისტემისა და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების მუშაობა.

ქალაქ ბათუმში გარემოს ხმაურით დაბინძურების ერთერთი მთავარი წყარო ავტოტრანსპორტია, ასევე სამრეწველო და სამშენებლო პროცესები. ავტოტრანსპორტის გადაადგილებით გამოწვეული ხმაური საქართველოს ყველა დიდ ქალაქში აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, მათ შორის ბათუმშიც. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის შერჩეული ტერიტორია რამდენიმე ასეულ მეტრში მდებარეობს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტთან, რომელიც ახლომდებარე დასახლებული ნაწილისთვის ხმაურით ზემოქმედების ერთერთი წყაროა. ავიაციასთან დაკავშირებული ხმაური მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ ლოკალურ დონეზე. თვითმფრინავით გამოწვეული ხმაური იწყება 50დბა-დან და იზრდება 100 დბა-მდე თვითმფრინავის მარკის მიხედვით.

აკუსტიკურ რეჟიმზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ზემოქმედების ხარისხი იქნება საშუალო მნიშვნელობის.

ნარჩენების მართვა

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის არაერთი წყაროა წარმოდგენილი (მოსახლეობა, სხვადასხვა სახის საწარმოები, ბაზრობები, ავტოტექნიკური მომსახურების ობიექტები, კვების ობიექტები, სამედიცინო დაწესებულებები და სხვა), რომელთა გამოც ყოველდღიურად დიდი რაოდენობით ნარჩენები წარმოქმნება. ხშირ შემთხვევაში წარმოქმნილი ნარჩენები სახიფათო ნარჩენების კატეგორიას განეკუთვნება.

ქალაქ ბათუმში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებას შპს „სანდასუფთავება“ უზრუნველყოფს. კომპანიას ქალაქ ბათუმს და აჭარის რეგიონის არაერთ დასახლებულ პუნქტში განთავსებული აქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერები, რომელთაც გარკვეული პერიოდულობით ემსახურება.

ბათუმის მუნიციპალური ნაგავსაყრელს დაახლოებით 22 ჰა. ფართობი უკავია, რომელიც განთავსებულია მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე - უშუალოდ მდინარის წყალდაცვით ზოლში, საიდანაც აქტიურად მიმდინარეობს მდინარის დაბინძურება სხვადასხვა დამბინძურებლებით. ნაგავსაყრელი არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვით სტანდარტებს და აქ არსებული მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ნაგავსაყრელთან ახლოს მაცხოვრებელ მოსახლეობას აწუხებს წელიწადის ცხელ სეზონზე ნაგავსაყრელიდან გავრცელებული არასასიამოვნო სუნი. გარდა ამისა, ტერიტორია არაა დაცული გარეშე პირებისა და ცხოველების (მათ შორის შინაური მსხვილფეხა საქონლისგან) შეღწევისგან. საქონელი ნაგავსაყრელზე განთავსებულ სხვადასხვა სახის ნარჩენებით იკვებება, ხოლო ცალკეული პირები რეციკლირებად მასალებს აგროვებენ და ხელახალი გამოყენების მიზნით ადგილობრივ ბაზარზე ახდენენ რეალიზაციას.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა დასრულების სტადიაშია, სადაც როგორც ქალაქ ბათუმში, ასევე აჭარის დანარჩენ ხუთ მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენები განთავსდება. მანამდე კი, ქალაქ ბათუმში წარმოქმნილი ნარჩენები კვლავ მოუწესრიგებელ ნაგავსაყრელზე განთავსდება.

დენდროლოგიური მონაცემები (საჯარო სივრცეში)

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არაერთი დიდი ზომის გამწვანებული სივრცეა წარმოდგენილი - ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის ბულვარი, ცენტრალური პარკი და სხვა. არსებული გამწვანებული სივრცეების საერთო ფართობის თანაფარდობა ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 5-6 მ2-ს შეადგენს.

ქ. ბათუმის მწვანე სივრცეები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც პირველ რიგში განპირობებულია სუბტროპიკული კლიმატით. რეკრეაციულ ზონებში ძირითადად 25 სახეობის ხე-მცენარეა გავრცელებული რომელთა საშუალო წლოვანება 70 წელზე მეტია.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტერიტორია მოიცავს 108 ჰა-ს, საიდანაც 23 ჰა კეთილმოწყობილ პარკებს უკავიათ (ქვედა, ზედა და ზღვისპირა პარკები), 33 ჰა - ფლორისტულ განყოფილებას, 10 ჰა - საკოლექციო განყოფილებას, 6 ჰა - სანერგე მეურნეობას, 6,5 ჰა - ციტრუსების პლანტაციას, ხოლო დანარჩენი 29.5 ჰა რეკრეაციულ ზონაში შემავალი ფართობია. ბოტანიკურ ბაღში 70 ათასამდე ხე-მცენარეა გაშენებული, რომელთაც ბოტანიკური ბაღის მთლიანი ფართობის დაახლოებით 85% (92 ჰა) უკავიათ.

ბათუმის ბულვარი ერთერთი გამორჩეული მწვანე სივრცეა ქალაქის ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობია 100 ჰექტარზე მეტია. მთლიანად ბულვარში 30000-ზე მეტი ძირი მცენარეა, საიდანაც ძირითადად შემდეგი ხე მცენარეებია გაბატონებული: ზღვისპირა ფიჭვი, კვიპაროსი, კედარი, ცხენის წაბლი, კრიპტომერია, ცაცხვი, ნეკერჩხალი, ევკალიპტი და პალმების 3 სახეობა (ფინიკის, მარაოსებრი და ქოქოსის).

უახლოეს მომავალში დაგეგმილია ბათუმის ბულვარის მწვანე საფარის კოლექცია იშვიათი და უნიკალური ჯიშის ახალი მცენარეთა სახეობებით გამდიდრდეს. მათ შორის არის საქართველოს წითელი ნუსხის წარმომადგენელი მცენარე - უთხოვარი (პირამიდალური და სფეროსებრი) (Taxus baccata piramidalis) აგრეთვე:

- მტირალა კედარი (CEDRUS deodara’ Pendula);
- სოფორა (SOPHORA japonica’Pendula);
- არიზონიკას კვიპაროსი (CUPRESSUS arizonica);
- წითელი ნეკერჩხალი (ACER palmatum ’Atropurpureum);
- დეკორატიული ტყემალი (PRUNUS pissardii’Nigra’);
- ვარდი ჯუჯა (Rosa mini mix).

ქალაქ ბათუმის მწვანე სივრცეებში წარმოდგენილი ძირითადი ხე-მცენარეების ნუსხა მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 3. ქ ბათუმის მწვანე სივრცეებში არსებულ ხე-მცენარეთა ძირითადი სახეობების ნუსხა

№	დასახელება	№	დასახელება	№	დასახელება
1.	მაგნოლია დიდყვავილა Magnolia grandiflora	13.	პირამიდალური კიპარისი Cupressus sempervirens f. pyramidalis	25.	ქაფურის ხე Cinnamonum camphora
2.	მუხა იაპონური Quercus acuta	14.	ჰორიზონტალური კიპარისი Cupressus sempervirens f. Horizontalis	26.	ვაშინგტონია Washingtonia filifera H. Wendl.
3.	ევკალიპტი მანანის Eucalyptus viminalis	15.	კაკლის ხე Juglans regia	27.	ტრახიკარპუსი Trachycarpus Fortunei
4.	კამელია იაპონური Camellia japonica	16.	ზეთის ხილის ხე Olea europaea	28.	ხამეროფსი (ჰუმილუსი) Chamaerops humilis L.
5.	ნეკარჩხალი იაპონური Acer japonicum	17.	პოდოკარპუსი Podocarpus	29.	ფინიკი Phoenix canariensis

6.	კედარი ჰიმალაის Cedrus deodara	18.	მუშმულა Eriobotrya japonica	30.	ბუცია Butia capitata
7.	ფიჭვი Pinus	19.	ტყემალი Prunus cerasifera	31.	ტუია Thuja
8.	წყავი Laurocerasus	20.	მაგნოლია სულანჟის magnolia soulangeana	32.	აბელია Abelia
9.	ოსმანთუსი Osmanthus fragrans	21.	ხეტიტა (ლირიოდედრონი) Liriodendron tulipifera	33.	ჭყორი Ilex
10.	ირმის რქა Lagerstroemia indica	22.	იორდასალამი ხისებრი Paeonia arborea	34.	ჭანჭყატი Euonymus
11.	ტერნსტრემია იაპონური Ternstroemia japonica	23.	პირაკანტა Pirakanta	35.	კომშიხენომელესი (იაპონური კომში) Chaenomeles japonica
12.	ღვია (საბაღო ფორმები) Juniperuc Sabina	24.	მიხელია Michelia	36.	ფოტინია Photinia

გეგმარებითი ერთეულის მიმდებარე საჯარო სივრცეში ხე-მცენარეები არ არის წარმოდგენილი, მიწის ნაკვეთებზე დარგულია ციტრუსოვანი კულტურები.

გეგმარებით ერთეულზე, როგორც მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში, მრავალბინიანი სახლის ეზოებში და საზოგადოებრივი სარგებლობის ტერიტორიებზე დგინდება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ კ-3-ით განსაზღვრულ არეალში. ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეში არსებულ ხეს შორის არ უნდა იყოს 1 მეტრზე ნაკლები, თუ დაგეგმილი შენობა/ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 5 მეტრს. სხვა შემთხვევა დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა. დადგენილი მოთხოვნებისგან გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დენდროლოგიური დასკვნის საფუძველზე, ხე-ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით ან და მათი შენარჩუნების პირობით. გეგმარებით ერთეულზე განაშენიანებული ფართობი დაბალანსებულია გამწვანებული ზონებით, მათ შორის საფეხმავლო და სატრანსპორტო გზების გასწვრივ ნარგავებისა და სკვერის განთავსებით, ასევე ავტოსადგომის განთავსების ტერიტორიებით.

ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდის ანთროპოგენურ ზემოქმედებას და ძუძუმწოვრებიდან შესაძლოა შევხვდეთ მხოლოდ მათ სინანთროპულ სახეობებს, რომლებიც უკვე შეგუებული არიან ასეთ გარემოს.

3.7. ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენება

გეგმარებით ერთეულზე და მის მიმდებარედ არ ხორციელდება ბუნებრივი რესურსების მართვა და მათი გამოყენება.

4. მიწათდაფარულობა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-6 დანართის (მონაცემთა სარეკომენდაციო მატრიცა) 1.9. პუნქტის მიხედვით სამიზნე ტერიტორია შეესაბამება ურბანიზებულ, კერძოდ დასახლებულ ტერიტორიას.



5. ქალაქგანვითარების მდგომარეობა, განაშენიანების სტრუქტურა და ფუნქციური დანიშნულება

გეგმარებით ერთეული სტიქიურად განვითარებული ერთბინიანი ინდივიდუალური საკარმიდამო საცხოვრებელი სახლებითაა განაშენიანებული, წარმოადგენს ძველი საგარეუბნო განაშენიანების ნარჩენს. მატერიალური გარემო არ გამოირჩევა არქიტექტურულ სტილთა მრავალფეროვნებით. სივრცით-გეგმარებითი წყობა წერტილოვანია, განაშენიანების სტრუქტურა ჩამოყალიბებული. რომელიც განვითარდა წარსულში ჩამოყალიბებული ქუჩების გასწვრივ, კაპიტალური ფონდი გასულ საუკუნეშია აშენებული, ხოლო საინჟინრო ქსელები რეკონსტრუირებულია ბოლო წლებში. ტერიტორიის განვითარება დაიწყო 20014 წლიდან. არსებული მდგომარეობით, განაშენიანების კვლევის შედეგების მიხედვით საკვლევ ტერიტორიაზე გამოყენების დომინირებულ სახეობას წარმოადგენს საცხოვრებელი სახლები, განაშენიანების სახეობა არის ღია.

2009 წ.



2014 წ.



2018 წ.



2022 წ.



6. ბუნებრივი და კულტურული ფასეულობები

სამიზნე ტერიტორია არ მდებარეობს ბუნებრივი ფასეულობების. მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი დაცული ტერიტორიების არეალში ან/და მათ სიახლოვეს (იხ რუქა).



გეგმარებითი ერთეული ასევე არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ზონებში, ასევე არ მდებარეობს არქეოლოგიური დაცვის ზონებში, აღნიშნულ ტეროტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები (იხ რუქა).



7. ინფრასტრუქტურა:

7.1.. სოციალური

სოციალური ინფრასტრუქტურა, მათ შორის ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების, რელიგიური და/ან საკულტო ობიექტები გეგმარებით ერთეულზე არ არის განთავსებული (იხ. საბაზისო რუკა).

7.2. სატრანსპორტო

ქალაქ ბათუმში, დასახლება ,,მინდა“, კოტე აფხაზის ქ. N 43–47 და N 53–ში მისასვლელი საავტომობილო გზა წარმოადგენს ,,საერთო სარგებლობის , ადგილობრივი მნიშვნელობის მეოთხე კატეგორიის“ გზას, რომლის გამტარუნარიანობა შეადგენს 200–1000 ავტომობილს დღეღამეში.

აღნიშნული გზა აკავშირებს აეროპორტის გზატკეცილს– მარია და ლეხ კაჩინსკების ქუჩასთან. გზის საერთო სიგრძე შეადგენს 1კმ. და 500 მეტრს და ავტომობილით ამ მანძილის დაფარვა შესაძლებელია 5 წთ–ში, ხოლო ფეხით მოსიარულეთათვის – 18 წთ. მათ შორის მარია და ლეხ კაჩინსკების ქუჩიდან კოტე აფხაზის N 43–მდე – შეადგენს 650 მეტრს–ს, ავტომობილით დაიფარება – 2 წთ. ფეხით – 8 წთ. ხოლო აეროპორტის გზატკეცილიდან კოტე აფხაზის N 43–მდე – შეადგენს 0,850 კმ–ს. ავტომობილით – 3 წთ. ხოლო ფეხით – 10 წთ. ავტომობილის საშუალო სიჩქარე შეადგენს – 20 კმ/სთ. ასევე გაანგარიშებულია სხვადასხვა მნიშვნელოვან პუნქტებთან და საჯარო სივრცეებთან დამაკავშირებელი მიმართულებები, ასე მაგალითად: სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტამდე მანძილი შეადგენს – 14,9 კმ–ს და ავტომობილით დაიფარება – 21 წთ–ში, ადლიის გაფორმების ეკონომიკური ზონა – 3,7 კმ, დაიფარება – 7 წთ–ში, პორტის გაფორმების ეკონომიკური ზონა – 9,3 კმ, დაიფარება – 17 წთ–ში, ბათუმის რკინიგზის სადგური – 11,3 კმ, დაიფარება – 20 წთ–ში, ბათუმის ავტოსადგური – 7 კმ, დაიფარება – 18 წთ–ში.

მოცემული საავტომობილო გზა არის მოასფალტებული და ორ ზოლიანი. გზის სავალი ნაწილის განივი ჭრილი შეადგენს 6 მეტრს. გზას არ გააჩნია საფეხმავლო ბილიკები და ტროტუარები, არ არის ველო ბილიკები და სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობები. გზის ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა. მისაბმელიანი და ნახევარმისაბმელიანი სატვირთო ავტომობილების მოძრაობა დაუშვებელია, რადგანაც გზის მოცემულ მონაკვეთს გააჩნია ორი 90 გრადუსიანი მკვეთრი მოსახვევი, სადაც დიაგონალური ჭრილი არ აღემატება 9 მეტრს. შესაბამისად აღნიშნული სატვირთოების მანევრირება შეუძლებელია ან საფრთხის შემცველია. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით მოცემული გზის გამოყენება ხდება ძირითადად ადგილობრივი ავტომფლობელების მიერ და უფრო ნაკლებად გამოიყენება როგორც გამჭოლი გზა აეროპორტის გზატკეცილსა და მარია და ლეხ კაჩინსკების ქუჩას შორის. ასევე გამჭოლ გზაზე დანიშნულია და დადგენილი გრაფიკის რეჟიმში მუშაობს მუნიციპალური ავტობუსი მარშრუტით N 2.

კოტე აფხაზის N 43–დან უახლოესი ,,ვისოლის“ ავტოგასამართი სადგური მდებარეობს აეროპორტის გზატკეცილზე და მისასვლელი მანძილი შეადგენს 900 მეტრს. საერთო სარგებლობის ავტოსადგომი, მოცემული ობიექტიდან 1000 მეტრ რადიუსში არ არის წარმოდგენილი. უახლოესი ფასიანი პარკირების ზონა განთავსებულია მარია და ლეხ კაჩინსკების გამზირზე სატუმრო ,,ეიფორია“–ს მიმდებარედ და მანძილი შეადგენს 700 მეტრს.




10 0 10 20 30 40
217055
216650
216975
216935
216895
4613245
4613285
4613325
4613365
4613405
4613445
ნახაზის ექსპლიკაცია
ნაგებობები
ნაგებობა - ლანდშაფტის ელემენტები
ნაგებობა ლანდშაფტის ელემენტის
ნაგებობა ლანდშაფტის ელემენტის
ნაგებობა ლანდშაფტის ელემენტის




საპროექტო ქუჩა
0.15


საპროექტო შიდაკვარტაალური გზის სქემატური პროფილი
წითელი ხაზი
3.50
5.00
0.50
პარკირება
P
ბლოკი B
12 სრთ.
ბლოკი C
16 სრთ.
ბლოკი A
10 სრთ.


კოტე აფხაზის ქუჩის გაფართოება სქემატური პროფილი
წითელი ხაზი
2.50
3.50
3.50
2.50
5.00
3.20
ტროტუარი
ტროტუარი
პარკირება
ტროტუარი


ბეტონი B-15
150
50
150
150
100
1. გრუნტი
2. ქვის ფრაქცია
3. ხრეში m=800 კგ/მ3
4. ქვიშა 0,15 მ
5. ტროტუარის ფილა


მაშტაბი
10 0 10 20 30 40

ჩ

განაშენიანების დეტალური გეგმა
საპროექტო და გასაფართოებელი ქუჩების გეგმა
ექსპლიკაცია
საკადასტრო საზღვარი
შენობა
არსებული ქუჩის ტერიტორია
ქუჩის გასაფართოებელი ნაწილი
საპროექტო შიდაკვარტაალური გზა
საპროექტო ქუჩა
შემსრულებელი შპს სმარტ დეველოპმენტი
ქარო ონიანტის საშუალებით
ძაბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

7.3. საინჟინრო - კომუნალური

გეგმარებითი ერთეული უზრუნველყოფილია ტექნიკური/საინჟინრო-კომუნალური ინფრასტრუქტურით. საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გათვალისწინებით გეგმარებით ერთეულზე განთავსებული იქნება 621 ბინა. მომხმარებელთა მაქსიმალური საერთო და სიმძლავრეების მოხმარების პიკური რაოდენობის გათვალისწინებით, საცხოვრებელი სახლის დაერთების შესაძლებლობასთან, მათ შორის გაზიფიცირებასთან, წყალმომარაგება/წყალარინებასთან, სანიაღვრე სისტემებთან და ენერგომომარაგებასთან, დაკავშირებული შესაბამისი ოპერატორი კომპანიების მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

7.3.1. გაზმომარაგება



O-SGG-CSH-LT-2021-9-24/164375391

SOCAR GEORGIA GAS

SOCAR Georgia Gas LTD
Regional office of Adjara
Gogebashvili (Baku) Str.46
Georgia, Batumi, 6000
Tel: 16 114

E-mail: socargas@socar.ge
www.mygas.ge
www.socargas.ge

შპს „სმარტ დეველოპმენტ"-ის დირექტორს
ქალბატონ ნატო ბოლქვაძეს

№ O-SGG-CSH-LT-2021-9-24/16
24.09.2021

ქალბატონო ნატო

თქვენი 2021 წლის 16 სექტემბრის №I-SGG-FOA-ST-2021-9-16/10 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ბათუმი, კოტე აფხაზის ქუჩაზე განთავსებულია შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"-ს საკუთრებაში არსებული დ-63 მმ სამუალო წნევის მიწისქვეშა გაზსადენი, რომლიდანაც სრულად არის შესაძლებელი უზრუნველყოფილი იქნეს ბუნებრივი გაზით მომარაგება განცხადებაში მითითებულ, კონკრეტულად დაგეგმილი მშენებლობისთვის. (წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად).

იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილი მშენებლობის დროს საჭიროა შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი"-ს საკუთრებაში არსებული გაზსადენის სადემონტაჟო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება, თქვენ უფლება გაქვთ მოგვმართოთ შესაბამისი მოთხოვნით, რის საფუძველზეც მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მომზადება სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განხორციელდება შესაბამისი მოქმედებები.

რაც შეეხება მშენებლობის დასრულების შემდეგ ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებას, აღნიშნული შესაძლებელი იქნება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის 2009 წლის 09 ივლისის #12 დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მიერთების სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელია რომ საპროექტო დოკუმენტაცის მომზადებისას, მისაერთებელ ობიექტზე სრულად იქნეს დაცული ტექნიკური რეგლამენტითა და უსაფრთხოების წორმებით გათალისწინებული წესები, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის 101 დადგენილებით განსაზღვრული წესები.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, ბაქოს ქუჩა №46.

პატივისცემით,
აჭარის რეგიონალური ოფისის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ვ.ბერიშვილი

განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის გაზიფიცირების შესაძლებლობისა და პერსპექტიული გაზმომარაგების ანალიზი.

ქალაქ ბათუმი, კოტე აფხაზის ქუჩა №43 და №53 დე მისამართებზე არსებული მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით: 05.32.03.215; 05.32.16.242; 05.32.16.239; 05.32.03.101; 05.32.16-230; 05.32.16-227; 05.32.16.228

ქალაქ ბათუმში მდებარე, დამკვეთის მიერ მოსაკვლევად მითითებული საპროექტო ტერიტორიული ერთეული, რომელიც ამჟამად შედგება 7, ცალკეული, მიმდებარედ განლაგებული მიწის ნაკვეთისაგან, სამომავლო კვლევისთვის წარმოადგენს ერთიან საამშენებლო მოედანს, სადაც 3 ცალკეულ ბლოკად უნდა დაიგეგმოს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს დასაგეგმი შენობა ნაგებობებისთვის (მომავალი ბინადრებისთვის) საჭირო, საანგარიშო გაზის ერთობლივი (ჯამური) მოხმარების პიკური რაოდენობა რათა გაზის მიმწოდებელმა (ლიცენზიანტმა) კომპანიამ განისაზღვროს არსებული ან ასაშენებელი გაზსადენების ჭრილით კომპლექსის გაზმომარაგების შეუფერხებელი უზრუნველყოფა.

დასაგეგმი სამი შენობა ნაგებობა წარმოადგენს საცხოვრებელ, მრავალსართულიან, მრავალბინიან სახლებს შემდეგი ზოგადი მონაცემებით : ბლოკი-ა 17 სართული 187 ბინა; ბლოკი-ბ 14 სართული 126 ბინა და ბლოკი-გ 22 სართული 308 ბინა. სულ ჯამში სამივე ბლოკში 621 ბინის მოწყობაა დაგეგმილი, ასევე სამივე ბლოკის პირველ სართულზე გათვალისწინებულია სხვადასხვა დანიშნულების (მაღაზიები, კვების ობიექტები და მცირე წარმადობის საცხობი) არასაყოფაცხოვრებო ობიექტის განლაგება.

დაგეგმილი საცხოვრებელი კომპლექსის გაზით მომარაგებისთვის პიკური მოხმარების საანგარიშო ოდენობის განსასაზღვრად ვიყენებთ პირველად საპროექტო მონაცემებს, რის საფუძველზეც, სამივე სახლისთვის, პოტენციური აბონენტის ტიპის (საყოფაცხოვრებო ან არასაყოფაცხოვრებო) მიხედვით სავარაუდო გაზის ხელსაწყოების, მათი მომხმარების რაოდენობრივი მონაცემების და ერთობლივი მოხმარების შესაძლებლობის შესაბამისი კოეფიციენტის გათვალისწინებით ვითვლით შესაძლო მაქსიმალურ მოთხოვნას.

მრავალბინიანი სახლების ბინების საანგარიშო ჯამური რაოდენიბა შეადგენს 621 ერთეულს, პოტენციური მომხმარებლის საანგარიშო მაქსიმალური საათური გაზის ხარჯი 4 ქურატიანი გაზქურის და გათბობის (ცხელი წყლის) ქვაბის (მოცემული ბინის ფართების გათვალისწინებით) ჯამური გაზის მოხმარება ჯამში 2.8კუბ.მ/სთ, ცალკეულ ბინაში ხელსაწყოების ერთობლივი მოხმარების საანგარიშო კოეფიციენტის (K1=0.8) და ბინების რაოდენობის მიხედვით ერთობლივი მოხმარების კოეფიციენტების (ამ შემთხვევაში K2=0.65) გათვალისწინებით მარტო მრავალბინანი საცხოვრებელი სახლების ეთობლივი შესაძლო პიკური საათური გაზის ხარჯი შეიძლება დავთვალოთ შემდეგნაირად

Qmax= 621* 2.8*0.8*0.65=904,18 კუბ.მ/სთ

შენობებში დაგაემილი არასაცხოვრებელი პოტენციური გაზის მომხმარებლების (სულ 6 ცალკეული ფართი) კერძოდ: მაღაზიების, კვების ობიექტების და მცირე წარმადობის საცხობის, სავარაუდო გაზის საათური მაქსიმალური ხარჯი თითოეულისთვის ცალ-ცალკე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობის პირველ სართულზე განლაგებული აბონტების სიმძლავრის შეზღუდვის გამო შეგვიძლია 10კუბ.მ/სთ-ის ტოლად მივიღოთ, შესაბამისად ექვსივე სავარაუდო არასაყოფაცხოვრებო პოტენციური გაზის მომხმარებლის მაქსიმალური საანგარიშო ჯამური გაზის მოხმარება იქნება ,

Qmax= 6* 10=60 კუბ.მ/სთ

სამივე სახლისთვის საანგარიშო მაქსიმალური (პიკური) ჯამური გაზის მოთხოვნა იქნება:

Qmax=904 +60 =964კუბ.მ/სთ

საცხოვრებელი სახლის მომავალი გაზის მომხმარებლები უნდა დაერთდნენ გაზის დაბალი წნევის საფეხურზე, 20 მილიბარამდე გაზის წნევით.

სპეციალისტი ბუნებრივი აირით გაზმომარაგების საკითხებში.

შემსრულებელი ი. ბურჭულაძე


განაშენიანების დეტალური გეგმა
საბაზისო მონაცემები
05.32.16.227; 05.32.16.228; 05.32.16.230; 05.32.03.101; 05.32.16.239; 05.32.03.215; 05.32.16.242
ბუნებრივი აირი
ექსპლიკაცია
გეგმარებითი ერთეული
საკადასტრო საზღვარი
საერთო სარგებლობის ტერიტორია - სერვიტუტი
შენობა
ქუჩის ტერიტორია
შემსრულებელი შპს სმარტ დეველოპმენტი
კერძო ინიციატივის საფუძველზე
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
მაშტაბი
10 0 10 20 30 40
ჩ
216815
216855
216895
216935
216975
216650
217055
4613445
4613405
4613365
4613325
4613285
4613245

7.3.2. წყალმომარაგება, წყალარინება და სანიაღვრე სისტემები

შპს "ბათუმის წყალი"

წერილის ნომერი: **##########**
თარიღი: **20/09/2021**
პინი: **####**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: შპს სმარტ დეველოპმენტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 445571159
მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, კოტე აფხაზის ქ., N 43

შპს "სმარტ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ: 445571159)
დირექტორს ქალბატონ ნატო ბოლქვაძეს

ქალბატონო ნატო,

თქვენი ამა წლის 16 სექტემბერს №22/1421259408-60 წერილი პასუხად, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზავას ქუჩა №43;47;53-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.32.16.227; 05.32.16.228; 05.32.16.230; 05.32.03.101; 05.32.16.239; 05.32.03.215; 05.32.16.242) დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო გაანგარიშების საფუძველზე დანართის სახით გიგზავნით სიტუაციურ გეგმას სადაც დატანილია შპს "ბათუმის წყალი"-ს წყალმომარაგების და წყალარინების კომუნიკაციები.

ლევან დავითაძე

შპს" ბათუმის წყალი"-გენერალური დირექტორი

სიტუაციური გეგმა



განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის წყალმომარაგებისა და წყალარინების შესაძლებლობისა და პერსპექტიული სქემის ანალიზი.
ქალაქ ბათუმი, კოტე აფხაზის ქუჩა N43-47-53-ში არსებულ მიწის ნაკვეთებისთვის (ს.კ 05.32.03.215; 05.32.16.242; 05.32.16.239; 05.32.03.101; 05.32.16.230; 05.32.16.227; 05.32.16.229)

ქ. ბათუმში კოტე აფხაზის ქუჩა N43-47-53-ში (ს/კ: 05.32.03.215; 05.32.16.242; 05.32.16.239; 05.32.03.101; 05.32.16.230; 05.32.16.227; 05.32.16.229) მდებარე მიწის ნაკვეთებზე, დაგეგმილია **A-ბლოკი:** 12 სართულიანი 187 ბინიანი, **B-ბლოკი:** - 10 სართულიანი 126 ბინიანი, და **C-ბლოკი:** 16 სართულიანი 308 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ***(იხილეთ დანართი სიტუაციური გეგმა).***

საპროექტო ტერიტორიის მომავალი წყალმოამრაგებისა და წყალარინების სისტემის უზრუველსაყოფად, შესწავლილი იქნა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელისა და წყალარინების ქსელის არსებული მდგომარეობა და ასევე საპროექტო მრავალბინაინი საცხოვრებელი სახლის შესაძლო მოცულობების ხარჯები:

საპროექტო მრავალბინიანი სახლი დაკომპლექტებულია საცხოვრებელი ბინებით აქედან გამომდინარე მოცულობების დაანგარიშებისათვის გამოყენებულია თითო ბინაზე საბაზანოს 3 სველი წერტილი; სამზარეულოს 3 სველი წერტილი; საქვაბე-სამეურნეო: 1; ასევე სახანძრო უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე *(საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ბრძანება №449, 2007 წლის 27 მარტი)* სახანძრო ჰიდრანტის 2 წერტილი საპროექტო ტერიტორიაზე;

ა) სააბაზანო - 3 სველი წერტილი;
ბ) სამზარეულო - 3 სველი წერტილი;
გ) საქვაბე - 1 სველი წერტილი
დ) კომერციული ობიექტები
ე) სახანძრო უსაფრთხოება

#		დასახელება	ხარჯი / ნორმა სულზე დღ/ღ	საშუალოდ დღ/ღ
ა	1.	ხელსაბანი	40 ლტ.	300 ლტ.
	2.	სამხაპე	85 ლტ.	450 ლტ.
	3.	უნიტაზი	50 ლტ.	400 ლტ.
ბ	4.	სამზარეულოს ონკანი	40 ლტ.	300 ლტ.
	5.	ჭურჭლის სარეცხი მანქანა	45 ლტ.	200 ლტ.
	6.	ტანსაცმლის სარეცხი მანქანა	50 ლტ.	250 ლტ.
გ	7.	საქვაბე/სამეურნეო	15 ლტ.	150 ლტ.
დ	8.	კომერციული დანიშნულების ობიექტები	65 ლტ.	500 ლტ.
ე	9.	სახანძრო უსაფრთხოება		1500 ლტ.

A-ბლოკი	
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	(300+450+400+300+200+250+150)=2050 ლტ.დღ/ღ
2050 ლტ.დღ/ღ * 187+500+1500 = 385350 ლტ.დღ/ღ	
B -ბლოკი	
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	(300+450+400+300+200+250+150)=2050 ლტ.დღ/ღ
2050 ლტ.დღ/ღ * 126+500+1500 = 260300 ლტ.დღ/ღ	
C -ბლოკი	
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია	(300+450+400+300+200+250+150)=2050 ლტ.დღ/ღ
2050 ლტ.დღ/ღ * 308+500+1500 = 633400 ლტ.დღ/ღ	

#	დასახელება	ლტ.დღ/ღ	კბმ/დღ/ღ	დიამეტრი	
				წყალი	წყალარინება
1.	A-ბლოკი	385350	385.4	75 მმ	150 მმ
2.	B -ბლოკი	260300	260.3	63 მმ	150 მმ
3.	C -ბლოკი	633400	633.4	110 მმ	200 მმ

აღნიშნული მოხმარების მიხედვით ცენტრალურ სისტემაზე დაერთება უნდა მოხდეს:

A-ბლოკი დ75მმ-იანი წყლის მილით, რომელიც 432 კბმ/დღ/ღ წყალმომარაგების გამტარიანობის წარმადობას უზრუნველყოფს.

B-ბლოკი დ63მმ-იანი წყლის მილით, რომელიც 302 კბმ/დღ/ღ წყალმომარაგების გამტარიანობის წარმადობას უზრუნველყოფს.

C-ბლოკი დ110მმ-იანი წყლის მილით, რომელიც 732 კბმ/დღ/ღ წყალმომარაგების გამტარიანობის წარმადობას უზრუნველყოფს.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაერთება წყალმომარაგებაზე რეკომენდირებულია დ25-დ32მმ-იანი წყლის მილით. იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელი ბინების დატვირთვის დროს პიკის საათებში და ჩვეულებრივი საათებში, საათური წყლის მოხმარება თანაბარი, რომ არ იყოს და დასაშვები იქნება ერთდროულად რამოდენიმე სველი წერტილით სარგებლობა. რეკომენდირებულია მრავალ ბინიანი საცხოვრებელი სახლის სართულებზე შიდა გამანაწილებელი დგარები მოწყობილი იყოს პირველი სართულიდან დ63მმ-იანი და მერვე სართულიდან დ50მმ-იანი წყლის გარდამავალი მილით, წყლის მასის მოცულობის გათანაბრების მიზნით, ასევე სართულებზე იქნება დასამონტაჟებელი წყლის წნევის რეგულატორი, რომლებიც განაწილებული უნდა იყოს ცენტრალური დგარიდან სართულებზე სიმაღლის დონის მიხედვით სტაბილური წნევის შესანარჩუნებლად.

ვინაიდან საცხოვებელი სახლების სიმაღლეები განსაზღვრულია წინასწარ სართულების მიხედვით, საჭირო იქნება ტექნიკური სართულის მოწყობა შუა სართულებზე ან 0 სართულზე, სადაც განთავსებული იქნება წყლის ტუმბო ჰიდროფონის რეგულატორით, რომელიც წნევის ცვალებადობისა და წყალმომარაგების მოთხოვნის ხარჯზე ავტომატურ რეჟიმში დაარეგულირებს მაღალ სართულებზე მოხმარების მიხედვით სათანადო წარმადობას.

წყალარინების ქსელის დაერთება რეკომენდირებულია A-B ბლოკზე **დ150მმ-იანი** წყალარინების მილით ცენტრალურ მილზე დაერთებით, რომელიც უზრუნველყოფს დასაერთებელი წყალმომარაგების მილით მოთხოვნილი სითხის გამტარიანობას, ხოლო C ბლოკზე - **დ200მმ-იანი** წყალარინების მილის დაერთებით.

მრავალსართულიანი საცხოვრებელ კორპუსის მოცულობის მიხედვით დასაშვებია ცენტრალური დგარის მოწყობა სართულებზე დ150მმ-იანი წყალარინების მილით, რომლის შეკრება მოხდება საპროექტო შენობის მახლობლად საპროექტო შემკრებ წყალარინების ქაში, რომელიც შემდგომ მიერთებული იქნება ცენტრალურ წყალარინების სისტემაზე.

სპეციალისტი წყალმომარაგებისა და წყალარინების ჰიდროკალკულაციის საკითხებში *სერგო ჭყონია*


განაშენიანების დეტალური გეგმა
საბაზისო მონაცემები
05.32.16.227; 05.32.16.228;
05.32.16.230; 05.32.03.101; 05.32.16.239; 05.32.03.215; 05.32.16.242
წყალმომარაგება
წყალარინება
ექსპლიკაცია
გეგმარებითი ერთეული
საკადასტრო საზღვარი
საერთო სარგებლობის ტერიტორია - სერვიტუტი
შენობა
ქუჩის ტერიტორია
შემსრულებელი შპს სმარტ დეველოპმენტი
კერძო ინიციატივის საფუძველზე
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
მასშტაბი
10 0 10 20 30 40
ჩ
216815
216855
216895
216935
216975
216650
217055
4613445
4613405
4613365
4613325
4613285
4613245
110

7.3.3. ელექტრომომარაგება

ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

ააა „ენერგო-პრო ჯორჯია“
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო
№5181028

შპს ,,სმარტ დეველოპმენტის“ დირექტორს
ქალბატონ ნატო ბოლქვაძეს
მის: ქ. ბათუმი, კოტე აფხაზის ქ. №43;
ტელ: 558 222 232;

ქალბატონო ნატო,

თქვენი 2021 წლის 11 აგვისტოს (შემ. №8798712) განცხადების პასუხად, რომელიც ეხებოდა ქ. ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. №43; №47; №53-ში მდებარე, №05.32.16.227; №05.32.16.228; №05.32.16.230; №05.32.03.101; №05.32.16.239; №05.32.03.215; №05.32.16.242 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ ტერიტორიებზე დაგეგმილი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის შენებლობას და აღნიშნული ობიექტის ელ. ენერგიით მომარაგებისთვის, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების წერტილის განსაზღვრას, გაცნობებთ, რომ ახალი ობიექტის ელექტროენერგიით მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული, 2021 წლის 28 ივნისის №19 დადგენილების „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესები“-ს 18-ე მუხლით. აღნიშნული დადგენილების თანახმად, ელ. ქსელზე მიერთების მსურველი ვალდებულია, გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნით, ობიექტის დადგმული სიმძლავრის მითითებით, მიმართოს განაწილების ლიცენზიანტს და ავანსის სახით გადაიხადოს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური. აღნიშნული პროცედურის შესრულების შემდეგ, კომპანია იმოქმედებს ზემოთ აღნიშნული დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი კომპანიის ვებ–გვერდზე: www. energo-pro.ge

პატივისცემით,

დავით ხარშილაძე
განვითარების მენეჯერის მ/შ.

შეშს: შ. ტაბატაძე / ტელ: 577 35 04 40;

განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის
ელეკტრომომარაგების შესაძლებლობისა და პერსპექტიული სქემის ანალიზი.

ქალაქ ბათუმში, კოტე აფხაზის ქუჩა N43-47-53-ში არსებული მიწის ნაკვეთზე ს.კ 05.32.16.242 ; 05,32,16,239; 05,32,03,101; 05.32.16.228; 05.32.16.227; მრავალ სართულიანი სასტუმროს სამი ,,ა“; ,,ბ“ ; ,,ც“ კორპუსების მშენებლობა.

საპროექტო ტერიტორიის მომავალი ელექტრომომარაგების სისტემის უზრუველსაყოფად, შესწავლილი იქნა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული გამანაწილებელი ქსელი და დაანგარიშებული იქნა (სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.194 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №20 2008 წლის 18 სექტემბერი ქ. ქუთაისი „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“) გათვალისწინებით, საპროექტო საცხოვრებელი სახლის ელექტრომომარაგებისათვის საჭირო მოთხოვნილი სიმძლავრის შესაძლო რაოდენობა.

საპროექტო საცხოვრებელი სახლი დაკომპლექტებულია საცხოვრებელი ბინებით აქედან გამომდინარე ელექრო ენერგიის მოთხოვნილი სიმძლავრის დაანგარიშებისათვის გამოყენებულია ბინების რაოდენობა, (ბინების რაოდენობიდან გამომდინარე დადგენილება №20 მიხედვით ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი ერთი ბინისთვის).

დადგენილება №20 მიხედვით ასევე ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი კომერციული ფართებისთვის (18^2 –0,14კვტ);

ასევე გათვალისწინებულია ხანძრის ქრობის და სიგნალიზაციის სისტემები, ლიფტები, წყალმომარაგება,ავტო ფარეხი, საერთო ფართის განათება.

წარმოდგენილი ექსპლიკაციის მიხედვით, ვადგენთ სიმძლავრის დაანგარიშების ცხრილს ცალკეული ბლოკებისთვის.

,,ა“ ბლოკი

#	დასახელება	K ერთეული/კვტ	რაოდენობა ც/მ^2	სულ/კვტ
1.	ბინები	2,57	200	514
2.	ლიფტი	16	4	64
3.	ხანძრის ქრობის სისტემები	120	1	120
4.	საერთო ფართის განათება	25	1	25
5.	სერვერი-სუსტი დენები	15	1	15
6.	ავტო ფარეხი	15	1	15
7.	კომერციული ფართები	0,14	1554	217,5

საშვალოდ მოთხოვნილი სიმძლავრე 970 კვტ

,,ბ“ ბლოკი

#	დასახელება	K ერთეული/კვტ	რაოდენობა ც/მ²	სულ/კვტ
	ბინები	2,65	181	479,65
9.	ლიფტი	16	4	64
10.	ხანძრის ქრობის სისტემები	120	1	120
11.	საერთო ფართის განათება	25	1	25
12.	სერვერი-სუსტი დენები	15	1	15
13.	ავტო ფარეხი	15	1	15
14.	კომერციული ფართები	0,14	1400	196

საშვალოდ მოთხოვნილი სიმძლავრე 914,65 კვტ

,,ც“ ბლოკი

#	დასახელება	K ერთეული/კვტ	რაოდენობა ც/მ²	სულ/კვტ
	ბინები	2,57	240	616,8
	ლიფტი	16	4	64
	ხანძრის ქრობის სისტემები	120	1	120
	საერთო ფართის განათება	25	1	25
	სერვერი-სუსტი დენები	15	1	15
	ავტო ფარეხი	15	1	15
	კომერციული ფართები	0,14	1600	224

საშვალოდ მოთხოვნილი სიმძლავრე 1079,8 კვტ

სამივე კორპუსისთვის საკმარისი მოთხოვნილი სიმძლავრე არის 3000კვტ

აღნიშნული მოთხოვნილი სიმძლავრის მიხედვით,ტერიტორიაზე უნდა გამოიყოს 70 მ² ფართობის ნაკვეთი და **დაპროექტდეს** 10/0,4 კვ-ზე 3600 კვა სიმძლავრის **სატრანსფორმატორო ქვესადგური**. სამი ც 1200 კვა სიმძლავრის ტრ-ით.

ასაშენებელი 10 კვ-ის ელექტრო საკაბელო ხაზი სიგრძეა 600მ .

ობიექტის სატრანსფორმატორო ქვესადგურის ელმომარაგებისათვის უნდა აშენდეს 10 კვ-ის ელექტრო საკაბელო ხაზი 110/10 კვ-ის ქ/ს ,,ბათუმი-4“ -დან საამშენებლო ტერიტორიაზე მდემდებარე საპროექტო 10/0,4 კვ-ის სატრანსფორმატორო ქვესადგურამდე. 110/10 კვ-ის ქ/ს ,,ბათუმი-4“ -ის 10კვ-ის გამანაწილებელ მოწყობილობაში უნდა დაემატოს 10 კვ-ის სახაზო უჯრედი, რაზეც დაერთდება ელექტრო კაბელი.

ობიექტის საპროექტო სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან ობიექტი მომარაგდება 0,4 კვ-ი ქსელით, წინასწარ შედგენილი და შეთანხმებული ელექტროტექნიკური პროექტის საფუძველზე.

10 კვ-ის ასაშენებელი საკაბელო ელექტრო გადამცემი ხაზი და საპროექტო ობიექტის სატრანსფორმატორო ქვესადგურის სავარაუდო ადგილი ნაჩვენებია ელექტრომომარაგების გეგმაზე.

იწყიწერი ენერგეტიკოსი: ტარიელ გოგიჩაიშვილი


4613445
4613405
4613365
4613325
4613285
4613245
216895
216935
216975
216650
217055
216815
216855
216895
216935
216975
216650
217055
A-A'
B-B'
მასშტაბი
10 0 10 20 30 40
ჩ
პანაშვიანების დეტალური გეგმა
საბაზისო მონაცემები
ელექტრომომარაგება
ექსპლიკაცია
გეგმარებითი ერთეული
საკადასტრო საზღვარი
საერთო სარგებლობის ტერიტორია - სერვიტუტი
შენობა
ქუჩის ტერიტორია
შენიშვნა: ნაგებობის ნომერი
შენიშვნა: ნაგებობის ნომერი
შენიშვნა: ნაგებობის ნომერი

8. საკუთრების სტრუქტურა

გეგმარებით ერთეულზე განთავსებულია კერძო საკუთრებაში მყოფი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები და მიწის ნაკვეთები.

05.32.16.227 – 143,00 კვ.მ. - მესაკუთრე: ჯემალ მახაჭაძე.
05.32.16.228 – 560,00 კვ.მ. - მესაკუთრე: გოჩა ღორჯომელაძე.
05.32.16.230 – 177,00 კვ.მ. - მესაკუთრეები: ავნი მახაჭაძე, ლიანა მახაჭაძე, ომარ მახაჭაძე, ირაკლი მახაჭაძე, მზია მახაჭაძე.
05.32.03.101 – 2502,00კვ.მ. - მესაკუთრეები: ავნი მახაჭაძე, ლიანა მახაჭაძე, ომარ მახაჭაძე, ირაკლი მახაჭაძე, მზია მახაჭაძე.
05.32.03.215 – 1900,00კვ.მ. - მესაკუთრე: მალხაზ კახაძე.
05.32.16.239 – 4394,00კვ.მ. - მესაკუთრე: ჯემალ მახაჭაძე.
05.32.16.242 – 69,00კვ.მ. - მესაკუთრე: მალხაზ კახაძე..

9. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმები, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები / პროგრამები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გდგ-ს შემუშავების დროისათვის გეგმარებითი ერთეულის მიმართ ქალაქთმშენებლობითი ღონისძიები დაგეგმილი არ არის, ამასთან მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები.

10. დარგობრივი გეგმები და ქალაქთმშენებლობითი გეგმები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გდგ-ს შემუშავების დროისათვის დარგობრივი გეგმები არ არის შემუშავებული, ამასთან დამტკიცებული ან შემუშავების პროცესში არ არის მომიჯნავედ მყოფი ქალაქთმშენებლობითი გეგმები. დღეისათვის მიმდინარეობს ქალაქ ბათუმის ქალაქმშენებლობითი გეგმების სახელმწიფო შესყიდვის შესაბამისი პროცედურები. დღეისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივლისის №9 ბრძანებით დამტკიცებულია ახალი ბულვარის გასწვრივ, სიღრმეში მდებარე ტერიტორიაზე ახალი გზების/ქუჩების სქემა.



11. განვითარების ზღვრული სიმჭიდროვეები

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების №8 დანართი სარეკომენდაციოა და მისი გათვალისწინება რეკომენდირებულია უშენი ტერიტორიების გემარებითი საბალანსო ერთეულებისათვის. ხსენებული დანართის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამავე პუნქტში მოცემული მარეგულირებელი ინდიკატორები არ არის რეალური მდგომარეობით ნორმატიული მაჩვენებლების დადგენის საფუძველი.

დადგენილების მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) პირველი ნაწილის „მ)“ პუნქტის განმარტების მიხედვით: „უშენი ტერიტორია – დასახლების ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნება ნაშენ ტერიტორიას, უმეტესად მწვანე საფარითაა დაფარული და 300 მეტრის რადიუსში არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობა.“
აღნიშნულიდან გამომდინარე გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს ნაშენ ტერიტორიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმარებითი ერთეულის მიმართ განვითარების ზღვრული სიმჭიდროვის მაჩვენებელი არ განისაზღვრება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განმარტებით (წერილი N 01/858, 29/03/2021წ.):
„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი აღიარებს მდგრადი განვითარების პრინციპებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპების საფუძველზე ადამიანის ცხოვრების, საქმიანობისა და რეკრეაციისათვის ღირსეული, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის მნიშვნელობას ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში, თუმცა დღეის მდგომარეობით არ არის მიღებული რაიმე სახის სტანდარტი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე ადგენს განაშენიანების სიმჭიდროვის განსაზღვრის ერთიან კრიტერიუმებს.“
„ამასთან, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 დანართში ასახულია ახალი განაშენიანების განვითარებისას ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების პროცესში გასათვალისწინებელი (სარეკომენდაციო) საცხოვრებლად ღირსეული სოციალური ინფრასტრუქტურის უზურნველყოფის მინიმალური სტანდარტი“.
„აგრეთვე, გეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იქნას „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნები, რომლის მიზანსაც წარმოადგენსსაზოგადოების ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და საერთო კეთილდღეობის მისაღწევად მინიმალური პირობების შექმნა“.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნები დაცული იქნება საცხოვრებელი სახლის პროექტის - სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შედგენისას, რაც აისახება შესაბამის საექსპერტო დასკვნაში.



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

858-01-2-202103291424 N 01/858
29/03/2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

მატონი ჯაბა,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 2 მარტის N01-01-10/904 (სამინისტროში რეგისტრაციის N1194/01, თარიღი: 04.03.2021წ.) წერილი, რომლითაც ითხოვთ რეკომენდაციებს განაშენიანების სიმჭიდროვის, მათ შორის, სამანქანო ერთეულების, შესაძლო გაზრდის საფუძვლებისა და სოციალური საცხოვრისის დაცვის დამკვიდრებული მიდგომებისა და სტანდარტების შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი აღიარებს მდგრადი განვითარების პრინციპებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპების საფუძველზე ადამიანის ცხოვრების, საქმიანობისა და რეკრეაციისათვის ღირსეული, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის მნიშვნელობას ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში, თუმცა დღეის მდგომარეობით არ არის მიღებული რაიმე სახის სტანდარტი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე ადგენს განაშენიანების სიმჭიდროვის განსაზღვრის ერთიან კრიტერიუმებს.

კონკრეტული ქალაქთმშენებლობითი გეგმის შემუშავების პროცესში შესაბამისი კვლევების საფუძველზე უნდა დადგინდეს, თუ რა მეთოდებით და რა პრინციპების დაცვით არის შესაძლებელი მაცხოვრებლებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა.

ამასთან, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 დანართში ასახულია ახალი განაშენიანების განვითარებისას ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების პროცესში გასათვალისწინებელი (სარეკომენდაციო) საცხოვრებლად ღირსეული სოციალური ინფრასტრუქტურის უზურნველყოფის მინიმალური სტანდარტი.

აგრეთვე, გეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იქნას „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნები, რომლის მიზანსაც წარმოადგენს

საზოგადოების ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და საერთო კეთილდღეობის მისაღწევად მინიმალური პირობების შექმნა.

დასაგეგმარებელი ტერიტორია და გადასაწყვეტი საკითხის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შესაძლებელია ეფექტური აღმოჩნდეს სახელმწიფო ქონების გამოცდილების ანალიზი/შესწავლა.

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე

12. ალტერნატივები და ლიმიტაციები

დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების საჯარო განხილვისას წარმოდგენილ ალტერნატივებს შორის, ფუნქციური ზონის გათვალისწინებით, არჩეულ იქნა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა (იხ. გამოკითხვის და საოქმო მასალები), რომლის მიწისპირა და მიწისზედა სართულებზე განთავსდება სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები, რაც მოსახლეობის აზრით ხელს შეუწყობს მიმდებარედ და გეგმარებით ერთეულზე მაცხოვრებელთა დასაქმებას და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარებას.
ლიმიტაციების კუთხით გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ შენობა-ნაგებობათა სიმაღლეების გაზრდა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და შესაბამის უწყებებთან შეთანხმების საფუძველზე. მიწის ზედაპირიდან 45 მეტრზე მეტი შენობათა განთავსება ასევე უნდა შეთანხმდეს შესაბამის ორგანიზაციას/უწყებას სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ნორმებიდან გამომდინარე, რაც უკვე შესრულებულია.



TAV
Batumi

თარიღი: 16.03.2021
ნომერი: BUS.GM 13886

მოქალაქე ჯემალ მახაჭაძეს
მოქალაქე მალხაზ კახაძეს
მოქალაქე ომარ მახაჭაძეს
მოქალაქე გოჩა ღორჯომელაძეს

ასლი: ქ. ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

თქვენი 2021 წლის 12 მარტის განცხადების და მასზე თანდართული მასალის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმში, კოტე აფხაზის ქუჩა N43, 47, 53-ში არსებული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდი: 05.32.03.215, 05.32.03.101, 05.32.16.242, 05.32.16.239, 05.32.16.230, 05.32.16.227, 05.32.16.229) მდებარეობს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონში და მათზე დასაშვებია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ზედაპირიდან +50 მეტრი სიმაღლის ა-ბლოკის და მიწის ზედაპირიდან +40 მეტრი სიმაღლის ბ-ბლოკის შენობების აშენება.

ფრენების უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან არიდების მიზნით ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებზე დაუშვებელია ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ც-ბლოკის სიმაღლე აღემატებოდეს მიწის ზედაპირიდან +51.38 მეტრს.

პატივისცემით,

შპს „ბათუმის აეროპორტის" მენეჯერი
ალი ოზგურ პეკტუნჯი

Batumi Airport Ltd.
Airport Highway № 220 Batumi, Georgia
Tel: +995 (422) 23 5100 / Fax: +995 (422) 23 51 01
www.batumiairport.com

CERTIFICATE NO. 81199

13. მაკომპენსირებელი ღონისძიება

ინვესტორი კომპანია შპს „სმარტ დეველოპმენტი“, იღებს ვალდებულებას ქვემოთ ჩამოთვლილ შემდეგ მაკომპენსირებელ ღონისძიებებზე:

1. გზის მოწყობის მიზნით უსასყიდლოდ გადასცეს მუნიციპალიტეტს მიწის ფართობი - 447,5 კვ.მ;

2, უსასყიდლოდ გადასცეს მუნიციპალიტეტს ბინები საერთო ფართით - 200 კვ.

3. მოაწყოს საბავშვო ბაღი.

14. ეფექტიანობის შეფასება

გეგმარებით ერთეულის სამშენებლოდ დაგეგმილი განვითარება უზრუნველყოფს მაცხოვრებელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას და არაესთეტიკური ობიექტების თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობებით ჩანაცვლებას.
ვინაიდან, საპროექტო არეალის მიმდებარედ განთავსებულია და შენდება 18-20 სართულიანი შენობები, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე 10-12-16 სართულიანი შენობების განთავსება არ გამოიწვევს ურბანული ქსოვლის რღვევას და კონტექსტიდან ამოვარდნას, ჩამოყალიბდება ერთიანი მიახლოებული სიმაღლეების მოშენება, რაც ურბანული თვალსაზრისით გამართლებული და მიზანშეწონილია.
აღნიშნული განვითარების შედეგად მივიღებთ ახალ სრულფასოვან საცხოვრებელ კვარტალს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ქალაქმგეგმარებითი მოთხოვნები, მათ შორის შიდა კვარტალური გზა, გამწვანებული ტერიტორია-სკვერი, ავტოსადგომი და სხვა საჭირო ობიექტები.
ქალაქ ბათუმის ცენტრალური უბნებში თითქმის ამოწურულია მრავალსართულიანი შენობებით მიწის ნაკვეთების განვითარების რესურსი და ქალაქის ე.წ. გარეუბნებში, სანაპიროს მეორე და მესამე ზოლებში დასახლებათა შიდა განვითარება, ტერიტორიების ათვისების დაწყება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საცხოვრებელი და სოციალური პირობების გაუმჯობესებას და სტიმულატორი იქნება ახალი მშენებლობებისათვის, ხოლო სამშენებლო სექტორის უფრო მეტად გააქტიურება, როგორც მოგეხსენებათ ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას.
მსოფლიო პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ვითარების გამო, საგრძნობლად დაეცა საცხოვრებელი ფართების ღირებულება და აქედან გამომდინარე დაბალ ფასებში მათი რეალიზაცია ბიზნესისთვის აღმოჩნდა წამგებიანი. იქ მაცხოვრებელთა ათვისებისათვის და ეკონომიკურად მომგებიანი პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელია მრავალსართულიანი შენობების აშენება და მეტი ბინა-ერთეულების რეალიზაცია, რათა მშენებლობის სექტორი იყოს რენტაბელური.
პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს: „პერიფერიული ტერიტორიების” საცხოვრებელ რაიონებში სრულფასოვანი საქალაქო გარემოს შექმნას;
ურბანული კულტურულ-საზოგადოებრივი და საქმიანი სივრცის განვითარებას;
ტერიტორიების ათვისების სანაცვლოდ ტერიტორიის სტრუქტურული, ფუნქციური და სივრცობრივი რეორგანიზაციის განხორციელებას, არსებული ტერიტორიული რესურსების გამოვლენის სტიმულირებას;
სივრცით-ტერიტორიული განვითარების გაძლიერების ტენდენციის ხელშეწყობას;
შექმნის უძრავი ქონებისა და მიწის ღირებულმიწიანი საინვესტიციო სივრცის ჩამოყალიბებისა და გაფართოების წინაპირობებს.

SWOT ანალიზი:
ძლიერი მხარეები:
ახალი კვარტლის თანამედროვე სტანდარტებით ჩამოყალიბება; ზღვის სანაპიროსთან და ახალ ბულვართან სიახლოვე; ქალაქის ერთ-ერთ მთავარ გამზირთან სიახლოვე; საზოგადოებრივ ტრანსპორტის მთავარ მარშრუტთან სიახლოვე;
სუსტი მხარეები:
უშუალოდ მომიჯნავე ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების არსაკმარისობა; სოციალური ინფრასტრუქტურის არასაკმარისობა.
შესაძლებლობები:
საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა; სკვერებისა და პარკინგის მოწყობა; მრავალფუნქციური ობიექტებით - სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სოციალური, კაფე-ბარები და სხვა მომსახურების ობიექტებით დატვირთვა; ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
საფრთხეები:
ქაოსური განაშენიანების შენარჩუნება.

ეკონომიკური დასაბუთება მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

სამშენებლო პოტენციალის (კ¹/კ²) ზრდის ხარჯ-სარგებლიანობის საანგარიშო ცხრილი

(ინფორმაცია შეიყვანოთ მხოლოდ ლურჯად მონიშნულ ველებში)

გათვლები ლარში

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

გათვლების გაკეთების თარიღი	17.05.2021
მისამართი	ქ. ბათუმი
საკადასტრო კოდ(ებ)ი	05.32.16.227; 05.32.16.228; 05.32.16.230; 05.32.03.101; 05.32.16.239; 05.32.03.215; 05.32.16.242);
დეველოპერული კომპანია	შპს "სმარტ დველოპმენტ"
საკონტაქტო პირი	გოჩა ქობულაძე
ტელეფონი	558 222 233

არსებული და მოთხოვნილი პარამეტრები

ფაქტობრივი/დადგენილი პარამეტრები		მოთხოვნილი პარამეტრები	
კ¹	0,4/0,5	კ¹	0,4
კ²	0,8/2,5	კ²	4,2
კ³	0,4/0,3	კ³	0,3

სამშენებლო მოცულობები

მიწის ფართობი		9 745,0		
კ² საანგარიშო ფართი		40 929,0		
კვ.მ. მიწის საშუალო საბაზრო ღირებულება		800,0		
მიწის ზედა	16		მიწის ზედა სამშენებლო მოცულობა კვმ	40 284,0
მიწის ქვედა სართულიანობა	1		მიწის ქვედა სამშენებლო მოცულობა კვმ	5 100,0

მშენებლობის ხარჯი

	ფართობი	1 კვმ ღირებულება დღგ გარეშე ლარში	
მთლიანი სამშენებლო მოცულობა	45 384,0	X	დანაკარგი%
მ.შ. საერთო ფართი (დანაკარგი სადარბაზო, კიბის უჯრედი)	6 426,0	950,0	14,2%
მ.შ. საცხოვრებელი ფართი კვმ	29 304,0	950,0	
მ.შ. კომერციული ფართი კვმ	4 554,0	950,0	
მ.შ. საოფისე ფართი კვმ	0,0	0,0	
მ.შ. დახურული ავტოსადგომები კვმ	5 100,0	950,0	
მ.შ. სხვა დანიშნულების ფართი კვმ	0,0	0,0	
სულ მშენებლობის ხარჯი	43 114 800,0		

ვალდებულება (არსებობის შემთხვევაში)

ჯამური ვალდებულება გამოსახული თანხობრივად	**7 796 000,0**	მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის კომპენსაცია
გთხოვთ აღწეროთ ვალდებულება:	მაკომპენსირებელი ღონისძიება: გზის მოწყობის მიზნით გადასაცემი მიწის ფართობი - 447,5 კვ.მ; გადასაცემი ბინების ფართი - 200 კვ.მ.	

შემოსავლები (სარეალიზაციო ფართზე დაყრდნობით)

	ფართობი	კვ.მ ღირებულება	ჯამური ღირებულ.
საცხოვრებელი ფართი	29 304,0	1 800,0	52 747 200,0
კომერციული ფართი	4 554,0	2 800,0	12 751 200,0
საოფისე ფართი	0,0	0,0	0,0
ავტოსადგომების რაოდენობა*	150	15 000,0	2 250 000,0
სხვა დანიშნულების ფართი	0,0	0,0	0,0
* გთხოვთ დააფიქსიროთ ავტოსადგომების რაოდენობა და თითო ავტოსადგომის სარეალიზაციო ფასი			
მთლიანი მიღებული შემოსავალი	67 748 400,0		

ინფორმაცია პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ

სხვაობა შემოსავალს და ხარჯს შორის	16 837 600,0
დღგ	3 030 768,0
მოგების გადასახადი	2 071 024,8
კ2 გადასახადი და მშენებლობის ნებართვა	40 929,0
დივიდენდი	584 743,9
მოგება გადასახადების შემდეგ	11 110 134,3

15. ზეგავლენები

15.1. ზეგავლენა გარემოზე (გარემოსდაცვითი ანგარიშის რეზიუმე)

პროექტის განხორციელებამ შესაძლოა ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების და მავნე ნივთიერებათა ემისიები გამოიწვიოს, ასევე მოსალოდნელია ხმაურის დონის მომატება სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას და ტექნიკის მოძრაობის შედეგად. მთლიანობაში, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოებთან. მშენებლობის შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება ხანგრძლივი. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების წარმოება მოხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რომელიც ვალდებული იქნება დაიცვას გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები.

ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ზემოქმედების ხარისხი იქნება დაბალი.

საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენურ ზემოქმედებას განიცდის. პროექტის განხორციელებით ნიადაგზე/გრუნტზე მოსალოდნელია პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება. ინფრასტრუქტურის მოწყობამდე გათვალისწინებული უნდა იქნას „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები. ასევე უნდა განისაზღვროს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ფართობები და ნიადაგის მოცულობა, რომელიც დასაწყობდება გარემოსდაცვითი პირობების დაცვით.

წინასწარი შეფასებით, გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით ნიადაგსა და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

საპროექტო ტერიტორიაზე გრუნტის წყლები გრუნტის ზედაპირთან ახლოსაა. გრუნტის წყლები გახსნილია დაახლოებით 1,5-3,0 მ. სიღრმეზე. დაგეგმილმა სამუშაოებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გრუნტის წყლის ხარისხზე. მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი მოსალოდნელია ავარიული დაღვრების შემთხვევაში (ძირითადად სამშენებლო ტექნიკა და სხვა სატრანსპორტო საშუალებები), რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები. ამასთან, ზემოქმედება იქნება დროებითი. სამუშაოების განხორციელებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული გარემოსდაცვითი წესები და ნორმები. საპროექტო ტერიტორიის გდგ-თი გათვალისწინებული მშენებლობის დასრულების შემდგომ, საპროექტო ინფრასტრუქტურის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები ასევე დაერთებული იქნება ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელს.შეიძლება ითქვას, რომ ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება. ხოლო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში მოსალოდნელია ზემოქმედების კიდევ უფრო შემცირება/აღმოფხვრა.

პროექტის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიას ან/და მის მიმდებარედ მოსალოდნელია ხმაურის და მავნე ნივთიერებების გავრცელება, თუმცა, ზემოქმედება არ იქნება მასშტაბური და ამასთან, იქნება დროებითი.

გეგმარებით ერთეულზე, როგორც მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში, მრავალბინიანი სახლის ეზოებში და საზოგადოებრივი სარგებლობის ტერიტორიებზე დგინდება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ კ-3-ით განსაზღვრულ არეალში. დადგენილი მოთხოვნებისგან გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დენდროლოგიური დასკვნის საფუძველზე, ხე-ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით ან და მათი შენარჩუნების პირობით. გეგმარებით ერთეულზე განაშენიანებული ფართობი დაბალანსებულია გამწვანებული ზონებით, ნარგავებისა და სკვერის განთავსებით.

მიმდებარე საჯარო სივრცეში ხე-მცენარეები არ არის წარმოდგენილი, მიწის ნაკვეთებზე დარგულია ციტრუსოვანი კულტურები. საჭიროების შემთხვევაში, გეგმარებით ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოჭრის საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებებთან. ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდის ანთროპოგენურ ზემოქმედებას და ძუძუმწოვრებიდან შესაძლოა შევხვდეთ მხოლოდ მათ სინანთროპულ სახეობებს, რომლებიც უკვე შეგუებული არიან ასეთ გარემოს.შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი პროექტის განხორციელებისას ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები მინიმალურია. თუმცა, ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

საპროექტო ტერიტორიას ემსახურება შპს „სანდასუფთავება“. ტერიტორიაზე განთავსებულია ურნები მუნიციპალური ნარჩენებისთვის. ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენები არ გვხვდება. მშენებლობის შედეგად დაგროვილი ინერტული ნარჩენების განთავსება ბათუმის არსებულ ნაგავსაყრელზე მოხდება. სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად. წარმოქმნილი ნებისმიერი ნარჩენის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად მართვისას და საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელი ღონისძიებების განხორიცელების შედეგად, ნარჩენებით გარემოს დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი მემკვიდრეობის (მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი) დაცული ტერიტორიები და ბუნების ძეგლები/ბუნებრივი ობიექტები (ჭაობი, ტორფნარი, დიუნი და მსგ.) არ გვხვდება.

გეგმარებითი ერთეული არ მდებარეობს არქეოლოგიური დაცვის ზონებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები. საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის, ხოლო არქეოლოგიური ძეგლების გვიანი აღმოჩენის რისკები კი მინიმალურია. გამომდინარე აქედან, ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე მოსალოდნელი არ არის.

დასკვნა:

გეგმარებითი ერთეულზე არ არის დაგეგმილი, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებელი ობიექტების განთავსება და შესაბამისად გეგმარებითი ერთეული არ მოახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე. სამუშაოები არ ითვალისწინებს საჯარო სივრცეებში განთავსებული ხის მოჭრას. სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს წარმოშობილი ზედმეტი გრუნტი და სამშენებლო ნარჩენები გატანილ იქნება შესაბამისი სამსახურების მიერ მითითებულ ტერიტორიაზე. საცხოვრებელი კომპლექსი თავისი სპეციფიკით არ გამიწვევს ხმაურს და აკუსტიკური რეჟიმის დარღვევას. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების (სახეობის მიხედვით დახარისხებული სახით) გატანა მოხდება ორგანიზებულად ქალაქ ბათუმის დასუფთავების სამსახურის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, არ იქნება გამოყენებული რაიმე სახის ბუნებრივი რესურსი.

თავისი სპეციფიკის, მასშტაბისა და მდებარეობიდან გამომდინარე კომპლექსის ექსპლუატაციამ არ შეიძლება გამოიწვიოს რაიმე ტრანსსასაზღვრო უარყოფითი ზემოქმედება.

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე, არ აღემატება ათ ჰექტარს და მისი განვითარება არ ახდენს გარემოზე ხანგრძლივ და შეუქცევად ან მაღალი კუმულაციური ეფექტის მქონე ზემოქმედებას, გარემოს ან/და ადამიანის ჯანმრთელობას არ უქმნის მომეტებულ რისკს, არ ახდენს ზემოქმედებას უნიკალური ბუნებრივი მახასიათებლების ან კულტურული მემკვიდრეობის შემცველ ტერიტორიაზე, დაცულ ტერიტორიებზე, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე ან/და ლანდშაფტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს ადგილობრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება და მისი შემდგომი ექსპლუატაცია, ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე ვერ/არ მოახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე.
დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქ. ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. №43, 47, 53-ში არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდებით: 05.32.03.215; 05.32.16.239; 05.32.03.101; 05.32.16.227; 05.32.16.228; 05.32.16.230; 05.32.16.242.) ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებული არ იქნება და სწორი გარემოსდაცვითი მართვის პირობებში და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ზემოქმედება მინიმუმამდე შემცირდება/აღმოიფხვრება.

ემისიებისგან დაცვა

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე არ ხასიათდება გარემოზე მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ზემოქმედებით. თუმცა, გარკვეული გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების (ხმაურის დონის გადაჭარბება, ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურება, მომსახურე პერსონალის ტრავმატიზმი და სხვა.) თავიდან აცილება/შემცირებისათვის შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია ქვემოთ:

<u>ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება:</u>

- სამუშაოებში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- დაცული უნდა იყოს სამუშაო გრაფიკი;
- საშიშპირობებიანი, მავნე და მძიმე სამუშაოების შემთხვევაში პერსონალის უსაფრთხოებისთვის უნდა გატარდეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები;
შავ ზღვას საფრთხეს უქმნის საქართველოს ნავსადგურებში ზღვის წყლის დაბინძურება ნავთობითა და ნავთობპროდუქტებით. დაბინძურების განსაკუთრებით მაღალი დონე აღინიშნება საზღვაო ნაოსნობის გზებზე (დაახლოებით 0.3 მგ/ლ). შესაძლებელია ამის მიზეზი გემებიდან ბალასტური წყლების გაშვება იყოს. ბალასტური წყლების მიმღები და გამწმენდი სპეციალური ინფრასტრუქტურა მხოლოდ რამდენიმე ნავსადგურშია (მაგ. ბათუმის ნავთობის ტერმინალი) მოწყობილი.

3.6.4 ნიადაგი

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე გავრცელებულია ძირითადად ანთროპოგენული ნიადაგები. მათ დაკარგული აქვთ ბუნებრივი შენება და ნიადაგის ზედა ნაწილი განიცდის ძლიერ ანთროპოგენულ ზეგავლენას. ზღვის სანაპიროს გასწვრივ წარმოდგენილია კარბონატული ალუვიური ნიადაგები. ქალაქის სამხრეთით, კახაბრის ვაკის ფარგლებში, მჟავე ალუვიური ნიადაგებია. აღმოსავლეთით გავრცელებულია წითელმიწები, რომელთაც გათიხება და მძლავრი პროფილი ახასიათებთ.

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნიადაგის/გრუნტის დაბინძურებას სახიფათო ნარჩენებითა და ჩამდინარე წყლებით. ამ მხრივ, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია ბათუმის ნავთობტერმინალი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. ასევე ყოფილი და არსებული საწარმოო და

ნაგავსაყრელის ტერიტორია. ბათუმის ტერიტორიაზე შეგროვებული საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენები თავსდება ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, რომელიც მოუწესრიგებელია და აბინძურებს ნიადაგსა და გრუნტს. მუნიციპალური ნაგავსაყრელი ასევე უარყოფით ზეგავლენას ახდენს წყლის გარემოზე, რადგან ის მდინარე ჭოროხის კალაპოტის სიახლოვეს მდებარეობს.

3.6.5 ნარჩენების მართვა

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის არაერთი წყაროა წარმოდგენილი (მოსახლეობა, სხვადასხვა სახის საწარმოები, ბაზრობები, ავტოტექნიკური მომსახურების ობიექტები, კვების ობიექტები, სამედიცინო დაწესებულებები და სხვა), რომელთა გამოც ყოველდღიურად დიდი რაოდენობით ნარჩენები წარმოქმნება. ხშირ შემთხვევაში წარმოქმნილი ნარჩენები სახიფათო ნარჩენების კატეგორიას განეკუთვნება.

ქალაქ ბათუმში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებას შპს „სანდასუფთავება“ უზრუნველყოფს. კომპანიას ქალაქ ბათუმს და აჭარის რეგიონის არაერთ დასახლებულ პუნქტში განთავსებული აქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერები, რომელთაც გარკვეული პერიოდულობით ემსახურება.

ბათუმის მუნიციპალური ნაგავსაყრელს დაახლოებით 22 ჰა. ფართობი უკავია, რომელიც განთავსებულია მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე - უშუალოდ მდინარის წყალდაცვით ზოლში, საიდანაც აქტიურად მიმდინარეობს მდინარის დაბინძურება სხვადასხვა დამბინძურებლებით. ნაგავსაყრელი არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვით სტანდარტებს და აქ არსებული მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ნაგავსაყრელთან ახლოს მაცხოვრებელ მოსახლეობას აწუხებს წელიწადის ცხელ სეზონზე ნაგავსაყრელიდან გავრცელებული არასასიამოვნო სუნი. გარდა ამისა, ტერიტორია არაა დაცული გარეშე პირებისა და ცხოველების (მათ შორის შინაური მსხვილფეხა საქონლისგან) შეღწევისგან. საქონელი ნაგავსაყრელზე განთავსებულ სხვადასხვა სახის ნარჩენებით იკვებება, ხოლო ცალკეული პირები რეციკლირებად მასალებს აგროვებენ და ხელახალი გამოყენების მიზნით ადგილობრივ ბაზარზე ახდენენ რეალიზაციას.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა მიმდინარეობს, სადაც როგორც ქალაქ ბათუმში, ასევე აჭარის დანარჩენ ხუთ მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენები განთავსდება. მანამდე კი, ქალაქ ბათუმში წარმოქმნილი ნარჩენები კვლავ მოუწესრიგებელ ნაგავსაყრელზე განთავსდება.

3.6.6 ბიოლოგიური გარემო

<u>დენდროლოგიური მონაცემები (საჯარო სივრცეში)</u>

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არაერთი დიდი ზომის გამწვანებული სივრცეა წარმოდგენილი - ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის ბულვარი, ცენტრალური პარკი და სხვა. არსებული გამწვანებული სივრცეების საერთო ფართობის თანაფარდობა ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 5-6 მ2-ს შეადგენს.

ქ. ბათუმის მწვანე სივრცეები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც პირველ რიგში განპირობებულია სუბტროპიკული კლიმატით. რეკრეაციულ ზონებში ძირითადად 25 სახეობის ხე-მცენარეა გავრცელებული რომელთა საშუალო წლოვანება 70 წელზე მეტია.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტერიტორია მოიცავს 108 ჰა-ს, საიდანაც 23 ჰა კეთილმოწყობილ პარკებს უკავიათ (ქვედა, ზედა და ზღვისპირა პარკები), 33 ჰა - ფლორისტულ განყოფილებას, 10 ჰა - საკოლექციო განყოფილებას, 6 ჰა - სანერგე მეურნეობას, 6,5 ჰა - ციტრუსების პლანტაციას, ხოლო დანარჩენი 29.5 ჰა რეკრეაციულ ზონაში შემავალი ფართობია.

ბოტანიკურ ბაღში 70 ათასამდე ხე-მცენარეა გაშენებული, რომელთაც ბოტანიკური ბაღის მთლიანი ფართობის დაახლოებით 85% (92 ჰა) უკავიათ.

ბათუმის ბულვარი ერთერთი გამორჩეული მწვანე სივრცეა ქალაქის ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობია 100 ჰექტარზე მეტია. მთლიანად ბულვარში 30000-ზე მეტი ძირი მცენარეა, საიდანაც ძირითადად შემდეგი ხე მცენარეებია გაბატონებული: ზღვისპირა ფიჭვი, კვიპაროსი, კედარი, ცხენის წაბლი, კრიპტომერია, ცაცხვი, ნეკერჩხალი, ევკალიპტი და პალმების 3 სახეობა (ფინიკის, მარაოსებრი და ქოქოსის).

უახლოეს მომავალში დაგეგმილია ბათუმის ბულვარის მწვანე საფარის კოლექცია იშვიათი და უნიკალური ჯიშის ახალი მცენარეთა სახეობებით გამდიდრდეს. მათ შორის არის საქართველოს წითელი ნუსხის წარმომადგენელი მცენარე - უთხოვარი (პირამიდალური და სფეროსებრი) (Taxus baccata piramidalis) აგრეთვე:

- მტირალა კედარი (CEDRUS deodara' Pendula);
- სოფორა (SOPHORA japonica'Pendula);
- არიზონიკას კვიპაროსი (CUPRESSUS arizonica);
- წითელი ნეკერჩხალი (ACER palmatum 'Atropurpureum);
- დეკორატიული ტყემალი (PRUNUS pissardii'Nigra');
- ვარდი ჯუჯა (Rosa mini mix).

ქალაქ ბათუმის მწვანე სივრცეებში წარმოდგენილი ძირითადი ხე-მცენარეების ნუსხა მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 14 ქ ბათუმის მწვანე სივრცეებში არსებულ ხე-მცენარეთა ძირითადი სახეობების ნუსხა

№	დასახელება	№	დასახელება	№	დასახელება
1	მაგნოლია დიდყვავილა Magnolia grandiflora	13	პირამიდალური კიპარისი Cupressus sempervirens f. pyramidalis	25	ქაფურის ხე Cinnamonum camphora
2	მუხა იაპონური Quercus acuta	14	ჰორიზონტალური კიპარისი Cupressus sempervirens f. Horizontalis	26	ვაშინგტონია Washingtonia filifera H. Wendl.
3	ევკალიპტი მაწანის Eucalyptus viminalis	15	კაკლის ხე Juglans regia	27	ტრახიკარპუსი Trachycarpus Fortunei
4	კამელია იაპონური Camellia japonica	16	ზეთის ხილის ხე Olea europaea	28	ხამეროფსი (ჰუმილუსი) Chamaerops humilis L.
5	წეკარჩხალი იაპონური Acer japonicum	17	პოდოკარპუსი Podocarpus	29	ფინიკი Phoenix canariensis
6	კედარი ჰიმალაის Cedrus deodara	18	მუშმულა Eriobotrya japonica	30	ბუცია Butia capitata
7	ფიჭვი Pinus	19	ტყემალი Prunus cerasifera	31	ტუია Thuja
8	წყავი Laurocerasus	20	მაგნოლია სულანჟის magnolia soulangeana	32	აბელია Abelia
9	ოსმანთუსი Osmanthus fragrans	21	ხეტიტა (ლირიოდენდრონი) Liriodendron tulipifera	33	ჭყორი Ilex
10	ირმის რქა Lagerstroemia indica	22	იორდასალამი ხისებრი Paeonia arborea	34	ჭანჭყატი Euonymus
11	ტერნსტრემია იაპონური Ternstroemia japonica	23	პირაკანტა Pirakanta	35	კომშიხენომელესი (იაპონური კომში)

					Chaenomeles japonica
12	ღვია (საბაღო ფორმები) Juniperuc Sabina	24	მიხელია Michelia	36	ფოტინია Photinia

გეგმარებითი ერთეულის მიმდებარე საჯარო სივრცეში ხე-მცენარეები არ არის წარმოდგენილი, მიწის ნაკვეთებზე დარგულია ციტრუსოვანი კულტურები.

გეგმარებით ერთეულზე, როგორც მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში, მრავალბინიანი სახლის ეზოებში და საზოგადოებრივი სარგებლობის ტერიტორიებზე დგინდება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ კ-3-ით განსაზღვრულ არეალში.

ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეში არსებულ ხეს შორის არ უნდა იყოს 1 მეტრზე ნაკლები, თუ დაგეგმილი შენობა/ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 5 მეტრს. სხვა შემთხვევა დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა.

დადგენილი მოთხოვნებისგან გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დენდროლოგიური დასკვნის საფუძველზე, ხე-ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით ან და მათი შენარჩუნების პირობით.

გეგმარებით ერთეულზე განაშენიანებული ფართობი დაბალანსებულია გამწვანებული ზონებით, მათ შორის საფეხმავლო და სატრანსპორტო გზების გასწვრივ ნარგავებისა და სკვერის განთავსებით, ასევე ავტოსადგომის განთავსების ტერიტორიებით.

ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდის ანთროპოგენურ ზემოქმედებას და ძუძუმწოვრებიდან შესაძლოა შევხვდეთ მხოლოდ მათ სინანთროპულ სახეობებს, რომლებიც უკვე შეგუებული არიან ასეთ გარემოს.

3.6.7 დაცული ტერიტორიები

გეგმარებით ერთეულზე არ მდებარეობს დაცული ან/და სპეციალური ტერიტორიები. საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის სიახლოვეს.

გეგმარებითი ერთეულის საზღვრიდან ყველაზე ახლო მდებარე დაცულ ტერიტორიებს წარმოადგეს: საერთაშორისო მნიშვნელობის ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ უბანს - ჭოროხის დელტას GE0000054 (დაშორება გეგმარებითი ტერიტორიიდან 1.4 კმ (პირდაპირი მანძილი)), მტირალას ეროვნული პარკი (დაშორება გეგმარებით ტერიტორიიდან - 11 კმ (პირდაპირი მანძილი)), მაჭახელას ეროვნული პარკი (დაშორება გეგმარებითი ტერიტორიიდან -15 კმ (პირდაპირი მანძილი)).

ბათუმის ტერიტორიაზე ასევე წარმოდგენილია ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია დასახელებით „ჭოროხის დელტა"(საზღვრები ძირითადად ემთხვევა ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ უბანს - ჭოროხის დელტას GE0000054) და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი დასახელებით „ბათუმი" (დაშორება გეგმარებითი ტერიტორიიდან -2 კმ (პირდაპირი მანძილი)).

ქვემოთ მოცემულია საპროექტო ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს მდებარე დაცული ტერიტორიები უმოკლესი პირდაპირი მანძილის მითითებით.

სურათი 22 საპროექტო ტერიტორიასთან ყველაზე ახლოს მდებარე დაცული ტერიტორიები უმოკლესი პირდაპირი მანძილის მითითებით.



3.6.8 ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენება

აჭარა მდიდარია ჰიდრომინერალური რესურსებითაც. მინერალური წყლების გამოსავლები გვხვდება როგორც ზღვისპირეთში, ასევე მთიან აჭარაში. წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატულ-სულფატური ნატრიუმიან-მაგნიუმიანია. ასევე გვხვდება ჰიდროკარბონატულ-ქლორიდული რკინა-ალუმინიანი, ნატრიუმიან-კალციუმიანი და სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი წყაროებიც.

ქალაქ ბათუმის სიახლოვეს წარმოდგენილია ჭოროხის ქვიშა-ხრეშის საბადო, რომელიც ბათუმიდან დაშორებულია 5-6 კმ-ის მოშორებით. აღნიშნული რესურსი გამოიყენება სამშენებლო დანიშნულებით.

სურათი 23 აჭარის რეგიონში არსებული მინერალური და თერმული რესურსების რუკა



N	საბადოს სახელი	რესურსის დასახელება	რეგიონი	რაიონი	a_b_c1	c2	ერთეული	გამოყენების სფერო
42	ქობულეთი	ტორფი	აჭარა	ქობულეთი	1691000	0	ტ	აგრონომიული ნედლეული
112	კინკიში	ანდეზიტ-ბაზალტი	აჭარა	ქობულეთი	8765000	0	მ3	ღორღი
115	ხელრუ	დიორიტ-პორფირიტი	აჭარა	ხელვაჩაური	195000	0	მ3	საყორე ქვა, ღორღი
132	ბრილი	სააგურე თიხა	აჭარა	შუახევი	266300	254700	მ3	სააგურე თიხა
173	ახალშენი	ტუფობრექჩია	აჭარა	ხელვაჩაური	10994000	№№№	მ3	საყორე ქვა
245	დაგვა	მიკროტუფობრექჩია	აჭარა	ქობულეთი	1101000	0	მ3	მოსაპირკეთებელი ქვა
246	დანისპარაული	ანდეზიტ-ბაზალტი	აჭარა	ხულო	2289000	0	მ3	მოსაპირკეთებელი ქვა
356	ჭარნალი	პოლიმეტალები	აჭარა		0	0		საიუველირო; ქიმიური მრეწველობა.
390	მერისის მადნიანი ველი	პოლიმეტალები	აჭარა	ქედა	1887000	№№№	ტ	მეტალურგია

3.7 ინფრასტრუქტურა

3.7.1 სატრანსპორტო ინფრსტრუქტურა

ქალაქ ბათუმში, დასახლება ,,მინდა“, კოტე აფხაზის ქ. №43–47 და №53–ში მისასვლელი საავტომობილო გზა წარმოადგენს ,,საერთო სარგებლობის, ადგილობრივი მნიშვნელობის მეოთხე კატეგორიის“ გზას, რომლის გამტარუნარიანობა შეადგენს 200–1000 ავტომობილს დღე-ღამეში.

აღნიშნული გზა აკავშირებს აეროპორტის გზატკეცილს– მარია და ლეხ კაჩინსკების ქუჩასთან. გზის საერთო სიგრძე შეადგენს 1.5 კმ-ს და ავტომობილით ამ მანძილის დაფარვა შესაძლებელია 5 წთ–ში, ხოლო ფეხით მოსიარულეთათვის – 18 წთ-ში. მათ შორის მარია და ლეხ კაჩინსკების ქუჩიდან კოტე აფხაზის №43–მდე – შეადგენს 650 მეტრს–ს, ავტომობილით დაიფარება – 2 წთ. ფეხით – 8 წთ. ხოლო აეროპორტის გზატკეცილიდან კოტე აფხაზის №43–მდე – შეადგენს 0,850 კმ–ს. ავტომობილით – 3 წთ. ხოლო ფეხით – 10 წთ. ავტომობილის საშუალო სიჩქარე შეადგენს – 20 კმ/სთ.

მოცემული საავტომობილო გზა არის მოასფალტებული და ორ ზოლიანი. გზის სავალი ნაწილის განივი ჭრილი შეადგენს 6 მეტრს. გზას არ გააჩნია საფეხმავლო ბილიკები და ტროტუარები, არ არის ველო ბილიკები და სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობები. გზის ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა. მისაბმელიანი და ნახევრად-მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილების მოძრაობა დაუშვებელია, რადგანაც გზის მოცემულ მონაკვეთს გააჩნია ორი 90 გრადუსიანი მკვეთრი მოსახვევი, სადაც დიაგონალური ჭრილი არ აღემატება 9 მეტრს. შესაბამისად, აღნიშნული სატვირთოების მანევრირება შეუძლებელია ან საფრთხის შემცველია. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, მოცემული გზის გამოყენება ხდება ძირითადად ადგილობრივი ავტომფლობელების მიერ და უფრო ნაკლებად გამოიყენება როგორც გამჭოლი გზა აეროპორტის გზატკეცილსა და მარია და ლეხ კაჩინსკების ქუჩას შორის. ასევე გამჭოლ გზაზე დანიშნულია და დადგენილი გრაფიკის რეჟიმში მუშაობს მუნიციპალური ავტობუსი მარშრუტით №2.

სურათი 24 კოტე აფხაზის ქუცის ჭრილი



კოტე აფხაზის №43–დან უახლოესი ,,ვისოლის“ ავტოგასამართი სადგური მდებარეობს აეროპორტის გზატკეცილზე და მისასვლელი მანძილი შეადგენს 900 მეტრს. საერთო სარგებლობის ავტოსადგომი, მოცემული ობიექტიდან 1000 მეტრ რადიუსში არ არის წარმოდგენილი. უახლოესი ფასიანი პარკირების ზონა განთავსებულია მარია და ლეხ კაჩინსკების გამზირზე სასტუმრო ,,ეიფორია“–ს მიმდებარედ და მანძილი შეადგენს 700 მეტრს.

სურათი 25 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა



3.7.2 საინჟინრო ინფრასტრუქტურა

გეგმარებით ერთეულზე საინჟინრო-კომუნალური ინფრასტრუქტურის მომხმარებელთა რაოდენობა ბინების მიხედვით შეადგენს 3 ბინა ერთეულს (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები).

სამიზნე ტერიტორიის გაზიფიცირება შესაძლებელია მიმდებარედ გამავალი 63 მმ გაზსადენიდან (ოპერატორი კომპანიის ტექნიკური დავალების შესაბამისად).

სურათი 26 ბუნებრივი აირი



სამიზნე ტერიტორიის წყალმომარაგება შესაძლებელია მიმდებარედ გამავალი 110 მმ წყალსადენზე დაერთებით, ხოლო წყალარინება 150 მმ-იან ქსელზე (ოპერატორი კომპანიის ტექნიკური დავალების შესაბამისად).

სურათი 27 წყალმომარაგება, წყალარინება



სამიზნე ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია 0,4 კვტ. ელსადენი, გეგმარებითი ერთეულის ელექტრომომარაგება შესაძლებელია ელექტრო-ქვესადგურის მოწყობით (ოპერატორი კომპანიის ტექნიკური დავალების შესაბამისად).

სურათი 28 ელექტრომომარაგება



3.7.3 სოციალური ინფრასტრუქტურა

სოციალური ინფრასტრუქტურა, მათ შორის ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების, რელიგიური და/ან საკულტო ობიექტები გეგმარებით ერთეულზე არ არის განთავსებული, გეგმარებით ერთეულზე ფიქსირდება გასულ საუკუნეში აშენებული 2 და 3 სართულიანი 3 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

სოციალურ-ეკონომიკური

<u>მოსახლეობის რაოდენობა</u>

ცხრილი 15 ქალაქ ბათუმის მოსახლეობის რიცხოვნება 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი):

რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ქალაქი, დაბა	2022		
	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
აჭარის არ	**355,5**	**204,9**	**150,6**
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	173,7	173,7	

გეგმარებით ერთეულზე მაცხოვრებელთა რიცხვი შეადგენს 17 ადამიანს.

<u>მოსახლეობის სიმჭიდროვე</u>

გეგმარებითი ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთებიდან, დღეისათვის სამი მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებითაა მოშენებული, ხოლო დანარჩენი არის თავისუფალი და მასზე შენობა-ნაგებობები არ არის განთავსებული. გეგმარებით ერთეულზე მაცხოვრებელთა რიცხვი შეადგენს 17 ადამიანს. შესაბამისად 17 კაცი/ჰა (0,9745 ჰა).

ცხრილი 16 მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კვ.კმ-ზე:

(კაცი)

რეგიონი	2022
აჭარის არ	122,6
ქ. ბათუმი	2651,8

4 სტრატეგიული დოკუმენტის სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან მიმართება

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე იცვლება ქალაქმშენებლობის პარამეტრები, კერძოდ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2-ის იზრდება 2,5- დან 4,2-მდე.

დაგეგმილი პროექტის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას- განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას კ2=4.2-მდე, რაც, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას, საპროექტო ნაკვეთები ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში (სზ), ხოლო განაშენიანების გეგმის მიხედვით კი მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში (სზ-4), სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2=2.5-ს. აღნიშნული ზონირება არ იცვლება.

დღეისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივლისის №9 ბრძანებით დამტკიცებულია ახალი ბულვარის გასწვრივ, სიღრმეში მდებარე ტერიტორიაზე ახალი გზების/ქუჩების სქემა.

სურათი 29 ახალი გზების/ქუჩების სქემა.



5 გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები

5.1 მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე აღწერა

ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული ხედვის განხორციელებამ გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ზემოქმედება. მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა იყოს დადებითიც და უარყოფითიც. უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება ხედვის სპეციფიკაზე, მის განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძნობელობის ხარისხზე.

წინასწარი მონაცემებით დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეები შეიძლება იყოს:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაური და ვიბრაციის გავრცელება;
- დაბინძურებული ჩამდინარე წყლებით დაბინძურება;
- ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება.

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:

- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- გეოლოგიური გარემო;
- ნიადაგი და გრუნტი;
- ბიოლოგიური გარემო;
- სოციალური გარემო.

პროექტის განხორციელების შედეგად ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

5.2 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები და ხმაურის გავრცელება

საპროექტო კონცეფციის განხორციელებამ შესაძლოა ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების და მავნე ნივთიერებათა ემისიები გამოიწვიოს, ასევე მოსალოდნელია ხმაურის დონის მომატება სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას და ტექნიკის მოძრაობის შედეგად. მთლიანობაში, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება კონცეფციით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებთან.

მშენებლობის შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება ხანგრძლივი. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების წარმოება მოხდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რომელიც ვალდებული იქნება დაიცვას გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და სტანდარტები.

ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ზემოქმედების ხარისხი იქნება დაბალი.

5.3 ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება

საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენურ ზემოქმედებას განიცდის.

საპროექტო კონცეფციის განხორციელებით ნიადაგზე/გრუნტზე მოსალოდნელია პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება. კონცეფციით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მოწყობამდე გათვალისწინებული უნდა იქნას „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები. ასევე უნდა განისაზღვროს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ფართობები და ნიადაგის მოცულობა, რომელიც დასაწყობდება გარემოსდაცვითი პირობების დაცვით.

წინასწარი შეფასებით, გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით ნიადაგსა და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

5.4 ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება

საპროექტო კონცეფციის განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიაზე გრუნტის წყლები გრუნტის ზედაპირთან ახლოსაა. გრუნტის წყლები გახსნილია დაახლოებით 1,5-3,0 მ. სიღრმეზე. დაგეგმილმა სამუშაოებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გრუნტის წყლის ხარისხზე. მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი მოსალოდნელია ავარიული დაღვრების შემთხვევაში (ძირითადად სამშენებლო ტექნიკა და სხვა სატრანსპორტო საშუალებები), რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები. ამასთან, ზემოქმედება იქნება დროებითი.

სამუშაოების განხორციელებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული გარემოსდაცვითი წესები და ნორმები.

საპროექტო ტერიტორიის გდგ-ს კონცეფციით გათვალისწინებული მშენებლობის დასრულების შემდგომ, საპროექტო ინფრასტრუქტურის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები ასევე დაერთებული იქნება ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელს.

შეიძლება ითქვას, რომ ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება. ხოლო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში მოსალოდნელია ზემოქმედების კიდევ უფრო შემცირება/აღმოფხვრა.

5.5 გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს კახაბრის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვიურ ტერასაზე, იმავდროულად მდინარე ჭოროხის ჭალისზედა ტერასაზე, მისთვის დამახასიათებელი მარტივი და სწორი ზედაპირით, ზღვის სანაპირო ზოლიდან 750 მ. დაცილებით. გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, ტერიტორია წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს, რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის შედეგად. რელიეფი ჰორიზონტალურია. გეოლოგიური ჭრილი აგებულია მეოთხეული ასაკის, ზღვიური ტერასის ალუვიურ-დელუვიური, ზღვიურ-ალუვიური და წმინდა ზღვიური გენეზისის წარმონაქმნებით.

გრუნტის წყლები გახსნილია დაახლოებით 1,5-3,0 მ. სიღრმეზე. ლითოლოგიური ჭრილი დაზუსტდება პროექტის განხორციელებისას.

უბანზე და მის მიმდებარედ არ აღინიშნება ნეგატიური გეოლოგიური მოვლენები. ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების

ზონაში. თუმცა, მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელებისას შესაბამისი წესებისა და ნორმების დაცვა. ამ შემთხვევაში ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე არ იქნება მოსალოდნელი.

5.6 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საპროექტო კონცეფციის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიას ადა ამის მიმდებარედ მოსალოდნელია ხმაურის და მავნე ნივთიერებების გავრცელება, თუმცა, ზემოქმედება არ იქნება მასშტაბური და ამასთან, იქნება დროებითი.

გეგმარებით ერთეულზე, როგორც მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში, მრავალბინიანი სახლის ეზოებში და საზოგადოებრივი სარგებლობის ტერიტორიებზე დგინდება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ კ-3-ით განსაზღვრულ არეალში.

ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და საზოგადოებრივ სივცეში არსებულ ხეს შორის არ უნდა იყოს 1 მეტრზე ნაკლები, თუ დაგეგმილი შენობა/ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 5 მეტრს. სხვა შემთხვევა დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა.

დადგენილი მოთხოვნებისგან გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დენდროლოგიური დასკვნის საფუძველზე, ხე-ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით ან და მათი შენარჩუნების პირობით.

გეგმარებით ერთეულზე განაშენიანებული ფართობი დაბალანსებულია გამწვანებული ზონებით, მათ შორის საფეხმავლო და სატრანსპორტო გზების გასწვრივ ნარგავებისა და სკვერის განთავსებით, ასევე ავტოსადგომის განთავსების ტერიტორიებით.

მიმდებარე საჯარო სივრცეში ხე-მცენარეები არ არის წარმოდგენილი, მიწის ნაკვეთებზე დარგულია ციტრუსოვანი კულტურები.

საჭიროების შემთხვევაში, გეგმარებით ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოჭრის საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებებთან.

ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდის ანთროპოგენურ ზემოქმედებას და ძუძუმწოვრებიდან შესაძლოა შევხვდეთ მხოლოდ მათ სინანთროპულ სახეობებს, რომლებიც უკვე შეგუებული არიან ასეთ გარემოს.

შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი საპროექტო კონცეფციის განხორციელებისას ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები მინიმალურია. თუმცა, ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

5.7 ნარჩენებით გარემოს დაბინძურება

საპროექტო ტერიტორიას ემსახურება შპს „სანდასუფთავება“. ტერიტორიაზე განთავსებულია ურნები მუნიციპალური ნარჩენებისთვის. ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენები არ გვხვდება.

მშენებლობის შედეგად დაგროვილი ინერტული ნარჩენების განთავსება ბათუმის არსებულ ნაგავსაყრელზე მოხდება.

სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოქმნილი ნებისმიერი ნარჩენის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად მართვისას და საჭიროების შემთხვევაში, შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ნარჩენებით გარემოს დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

5.8 საგზაო მოძრაობაზე ზემოქმედება

განაშენიანების დეტალური გეგმით საჯარო სივრცეში საგზაო მოძრაობის სქემის რეორგანიზება არ იგეგმება.

საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილია მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა 621 ბინაზე. დღევანდელი მოცემულობით როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ქ. ბათუმში ავტომფლობელთა რაოდენობის მზარდი ტენდენცია კვლავ გრძელდება, შესაბამისად ასეთ პირობებში აუცილებელია ავტომფლობელი მაცხოვრებლებისათვის გათვალისწინებული იქნეს საპარკინგე სივრცის მოწყობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ავტომანქანების სიმრავლემ, საკვლევი ობიექტის მიმდებარე ქუჩებზე გამოიწვიოს ავტომანქანების ნაკადების მოძრაობის შეფერხება. სტატისტიკური მონაცემებით, საშუალოდ, ქ. ბათუმის სინამდვილეში მობინადრეთა 20-30 პროცენტი წარმოადგენს ავტომფლობელს. განსათავსებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებულია 150 მიწისქვეშა საპარკინგე ადგილი და მიწისზედა პარკინგი 50 ავტომობილზე, რაც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

გეგმარებითი ერთეულის მოცემული განაშენიანების გეგმის და ქალაქის პერსპექტიული განვითარების მიზნით, 84 გრძივი მეტრის მონაკვეთში მიზანშეწონილია არსებული 6 მეტრიანი სიგანის გზის გაფართოება. რეკომენდირებულია დაპროექტდეს მესამე კატეგორიის შიგა გზა, რომლის პარამეტრები იქნება: სავალი ნაწილი– ორ ზოლიანი–8.0 მეტრი, საფეხმავლო ტროტუარი–3 მეტრი და ველო ბილიკი–1მეტრი, ჯამურად–12 მეტრი. ასევე ტერიტორიზე მიზანშეწონილია საპარკინგე სივრცის მოწყობა და მიწისქვეშა ავტოსადგომი. შენობა–ნაგებობის გარე პერიმეტრის გასწვრივ შესაძლებელია ავტომანქანის ერთზოლიანი სავალი ნაწილის მოწყობა–3 მეტრიანი განივი ჭრილით და შენობის სამი გვერდის მხრიდან შემხვედრი ნაკადის გვერდის ასაქცევად სპეციალური ჯიბეების განთავსება.

იმისათვის, რომ კოტე აფხაზის ქუჩის მხრიდან არ მოხდეს სატრანსპორტო ნაკადის გადატვირთვა, მიზანშეწონილია საკვლევი საამშენებლო ობიექტისათვის მოეწყოს ალტერნატიული გზა, ორზოლიანინი 7 მეტრიანი განივი ჭრილით, სამხრეთის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება და მისი ფუნქციონირება ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებულ საერთო სარგებლობის საგზაო ინფრასტრუქტურაზე.

5.9 კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი მემკვიდრეობის (მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი) დაცული ტერიტორიები და ბუნების ძეგლები/ბუნებრივი ობიექტები (ჭაობი, ტორფნარი, დიუნი და მსგ.) არ გვხვდება.

გეგმარებითი ერთეული არ მდებარეობს არქეოლოგიური დაცვის ზონებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები.

საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის, ხოლო არქეოლოგიური ძეგლების გვიანი აღმოჩენის რისკები კი მინიმალურია. გამომდინარე აქედან, ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე მოსალოდნელი არ არის.

5.10 სოციალურ გარემოზე ზემოქმედება

საპროექტო კონცეფციით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. ტექნიკა-დანადგარების არასწორმა მართვამ, მძიმე სამუშაოებმა, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობამ და სხვ. შესაძლებელია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა. პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მძიმე შედეგებითაც დამთავრდეს.

სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ სამუშაო სივრცეში უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა. პერსონალის უსაფრთხოება რეგლამენტირებული უნდა იყოს შესაბამისი სტანდარტებით, სამშენებლო ნორმებით და წესებით. სამუშაოების წარმოებისას მშენებელი კომპანიის მიერ დანიშნული/მოწვეული უნდა იყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვას. განსაკუთრებით უნდა იყოს დაცული სიმაღლეზე მუშაობის ნორმები და წესები.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა/გათვალისწინების შემთხვევაში, ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

დაგეგმილი პროექტის განხორციელება დადებით გავლენას მოახდენს საცხოვრებლის საჭიროებებსა და სამუშაო ადგილებზე, რადგან საცხოვრებელი კომპლექსის მიწისზედა სართულზე განთავსდება როგორც კომერციული დანიშნულების, ასევე სხვა მომსახურების ობიექტები. აღნიშნული საშუალებას იძლევა ათობით ადამიანის დასაქმებას, ასევე გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების თანამედროვე სტანდარტებით დაკმაყოფილებას.

წარსულში სასოფლო სტრუქტურის განაშენიანება ჩანაცვლდება თანამედროვე კომლექსით, რომელშიც განთავსებული იქნება სოციალური, ასევე სხვა საქალაქო ცხოვრებაზე ორიენტირებული ობიექტები, გაუმჯობესდება საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემო, რაც ასევე დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ ინფრასტრუქტურაზე.

6 გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული სამუშაოები თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე არ ხასიათდება გარემოზე მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ზემოქმედებით. თუმცა, გარკვეული გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების (ხმაურის დონის გადაჭარბება, ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურება, მომსახურე პერსონალის ტრავმატიზმი და სხვა.) თავიდან აცილება/შემცირებისათვის შემარბილებელი ღონისძიებები მოცემულია ქვემოთ:

<u>ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა და მუდმივი ზედამხედველობა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება:</u>

- სამუშაოებში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- დაცული უნდა იყოს სამუშაო გრაფიკი;
- საშიშპირობებიანი, მავნე და მძიმე სამუშაოების შემთხვევაში პერსონალის უსაფრთხოებისთვის უნდა გატარდეს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პერიოდულად გაკონტროლდეს მანქანა-დანადგარების გამართულობა;
- საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მიერ უნდა დაინიშნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას;
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ცნობიერების ამაღლებისა სწავლებები უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის საკითხებზე;

<u>გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები</u>

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები:

- სამუშაოებში გამოყენებული ტრანსპორტი და დანადგარები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ნორმებს, რისთვისაც სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა;
- სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას დაცული უნდა იყოს ოპტიმალური სიჩქარე;
- ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით, მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო გრაფიკი;
- სამშენებლო მასალების დამუშავებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული დამუშავების სველი მეთოდი;
- უმჯობესია სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება უახლოესი კარიერებიდან/ობიექტებიდან განხორციელდეს;
- მნიშვნელოვანი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში;
- ქარიან ამინდში უნდა შეიზღუდოს მტვერწარმომქმნელი სამუშაოების შესრულება;
- ხმაურის დონის კანონით დადგენილი ზღვრული ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში, საჭიროებისამებრ უნდა განხორციელდეს ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები, კერძოდ:
  - ✓ დანადგარებისა და ტექნიკის ხმაურის დონე შემცირდეს სხვადასხვა ტექნიკური გადაწყვეტებით;
  - ✓ შეძლებისდაგვარად შეიზღუდოს ხმაურის გამომწვევი წყაროების ერთდროული მუშაობა.

- ფხვიერი მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში სატვირთო მანქანის ძარა უნდა გადაიფაროს შესაბამისი მასალით;
- გაკონტროლდეს ჩართული ძრავით მანქანების უქმად გაჩერება და უქმად გადაადგილება;
- აიკრძალოს სიგნალის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უსაფრთხოებისთვის აუცილებელია.
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

ზედაპირულ და მიწისქვეშა წლებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები:

- რეგულარულად უნდა შემოწმდეს ადგილზე მომუშავე ტრანსპორტის და აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობა ჟონვის დასადგენად;
- ადგილზე ტექნიკის რემონტი/ტექნიკური მომსახურეობა და გამართვა აკრძალული იქნება. უპირატესობა მიენიჭება ტერიტორიის გარეთ მდებარე კერძო/კომერციულ ტექმომსახურების ობიექტების გამოყენებას.
- მკაცრად გაკონტროლდეს ნებისმიერი სახის დაბინძურებული წყლის (საკანალიზაციო, ნარეცხი და სხვადასხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული წყლების) ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში. სანიაღვრე და საკანალიზაციო წყლების ჩაშვება უნდა მოხდეს ქალაქ ბათუმის საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებში;
- სამშენებლო ზონა აღჭურვილი უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების ინვენტარით. ასევე დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კომპანიის მიერ შემუშავებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს იმ სატვირთოების (ბეტონწემრევი) ადგილზე გარეცხვის ფაქტები, რომლებიც გამოყენებული იქნება ბეტონის სამუშაოებში;
- სამშენებლო მასალა და ნარჩენები დასაწყობდება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული ეროზია და წარეცხვა.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები:

- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- გაკონტროლდეს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის გადაადგილებისათვის დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის ფაქტები, რათა თავიდან იქნას აცილებული არსებული ხე-მცენარეების დაზიანება.
- გეგმარებით ტერიტორიაზე მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული არსებული ხე-მცენარეულობა;
- შენარჩუნებული იქნას საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, საჯარო სივრცეში არსებული მცენარეულობა;
- სამშენებლო სამუშაოების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის გამწვანების მოწყობა კანონმდებლობის შესაბამისად (ტერიტორიის განაშენიანება ითვალისწინებს ახალი გამწვანების მოწყობას) და მონიტორინგი;
- გამწვანებაში გამოყენებული უნდა იყოს ადგილობრივ კლიმატს შეგუებული სახეობები. სახეობების შერჩევისას ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატის ცვლილების სამომავლო სცენარები;
- გაკონტროლდეს ისეთი სახის აქტივობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძრები, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება;
- სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალს ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;

ნიადაგზე/გრუნტზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები:

- ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში გატარდეს დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები. დაბინძურებული ფენა უნდა მოიხსნას დაუყოვნებლივ და რემედიაციისათვის გადაეცეს შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას;
- შეიზღუდოს სამუშაო ზონაში მანქანების შეკეთება/ტექნიკური მომსახურეობა და/ან საწვავით გამართვა. უპირატესობა მიენიჭება საპროექტო ტერიტორიის გარეთ არსებულ კომერციულ პუნქტებს;
- ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
- დეტალური პროექტირებისას უნდა შეფასდეს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნიადაგის მოცულობა და მისი მართვა განხორციელდეს „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.
- პერიოდულად შემოწმდეს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობა;

ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები:

- მასალების შემოტანასა და განთავსებაზე უნდა იწარმოოს მონიტორინგი, ასევე მკაცრად გაკონტროლდეს წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;
- სამშენებლო ნარჩენების განთავსებისთვის ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი მასალის და მოცულობის კონტეინერები ან/და გამოიყოფა ტერიტორია, სადაც მხოლოდ სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება;
- თავიდან უნდა იქნეს აცილებული სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტები, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციას;
- შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელი კომპანია უზრუნველყოფს წინასწარ ფორმირებული პროდუქციის შეძენას, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;
- წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვისთვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირს/კომპანიას. ქალაქ ბათუმში ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელია ქალაქ ბათუმის მერიაში შემავალი შპს „სანდასუფთავება“, კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებელია გადაეცეს აღნიშნულ კომპანიას, ან სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან.
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- დასაქმებულ პერსონალს ექნება შესაბამისი ინფორმაცია ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიებებისა, შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა სახის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, რაც დამოკიდებული იქნება

შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკასა და მასშტაბზე. საპროექტო კონცეფციის განხორციელებისათვის საჭირო სამუშაოები და მასშტაბები პროექტის შემდეგ ეტაპზე იქნება ცნობილი.

7 შეჯამება

გეგმარებითი ერთეულზე არ არის დაგეგმილი, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებელი ობიექტების განთავსება და შესაბამისად გეგმარებითი ერთეული არ მოახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე. სამუშაოები არ ითვალისწინებს საჯარო სივრცეებში განთავსებული ხის მოჭრას. სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს წარმოშობილი ზედმეტი გრუნტი და სამშენებლო ნარჩენები გატანილ იქნება შესაბამისი სამსახურების მიერ მითითებულ ტერიტორიაზე. საცხოვრებელი კომპლექსი თავისი სპეციფიკით არ გამოწვევს ხმაურს და აკუსტიკური რეჟიმის დარღვევას. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების (სახეობის მიხედვით დახარისხებული სახით) გატანა მოხდება ორგანიზებულად ქალაქ ბათუმის დასუფთავების სამსახურის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, არ იქნება გამოყენებული რაიმე სახის ბუნებრივი რესურსი.

თავისი სპეციფიკის, მასშტაბისა და მდებარეობიდან გამომდინარე კომპლექსის ექსპლუატაციამ არ შეიძლება გამოიწვიოს რაიმე ტრანსსასაზღვრო უარყოფითი ზემოქმედება.

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე, არ აღემატება ათ ჰექტარს და მისი განვითარება არ ახდენს გარემოზე ხანგრძლივ და შეუქცევად ან მაღალი კუმულაციური ეფექტის მქონე ზემოქმედებას, გარემოს ან/და ადამიანის ჯანმრთელობას არ უქმნის მომეტებულ რისკს, არ ახდენს ზემოქმედებას უნიკალური ბუნებრივი მახასიათებლების ან კულტურული მემკვიდრეობის შემცველ ტერიტორიაზე, დაცულ ტერიტორიებზე, აგრეთვე იმ ტერიტორიაზე ან/და ღანდშაფტზე, რომელსაც მინიჭებული აქვს ადგილობრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება და მისი შემდგომი ექსპლუატაცია, ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე ვერ/არ მოახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქ. ბათუმში, დასახლება მინდაში და კოტე აფხაზის ქ. №43, 47, 53-ში არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდებით: 05.32.03.215; 05.32.16.239; 05.32.03.101; 05.32.16.227; 05.32.16.228; 05.32.16.230; 05.32.16.242.) ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვან რისკებთან დაკავშირებული არ იქნება და სწორი გარემოსდაცვითი მართვის პირობებში და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ზემოქმედება მინიმუმამდე შემცირდება/აღმოიფხვრება.

კახა ბახტაძე

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კვლევა

ქ. ბათუმში, დასახლება ,,მინდა“, კოტე აფხაზის ქ. N 43–47 და N 53–ში მისასვლელი საავტომობილო გზა წარმოადგენს ,,საერთო სარგებლობის , ადგილობრივი მნიშვნელობის მეოთხე კატეგორიის“ გზას, რომლის გამტარუნარიანობა შეადგენს 200–1000 ავტომობილს დღეღამეში.

აღნიშნული გზა აკავშირებს აეროპორტის გზატკეცილს– მარია და ლეხ კაჩინსკების ქუჩასთან. გზის საერთო სიგრძე შეადგენს 1კმ. და 500 მეტრს და ავტომობილით ამ მანძილის დაფარვა შესაძლებელია 5 წთ–ში, ხოლო ფეხით მოსიარულეთათვის–18 წთ. მათ შორის მარია და ლეხ კაჩინსკების ქუჩიდან კოტე აფხაზის N 43–მდე–შეადგენს 650 მეტრს–ს, ავტომობილით დაიფარება–2 წთ. ფეხით–8 წთ. ხოლო აეროპორტის გზატკეცილიდან კოტე აფხაზის N 43–მდე–შეადგენს 0,850 კმ–ს. ავტომობილით–3 წთ. ხოლო ფეხით–10 წთ. ავტომობილის საშუალო სიჩქარე შეადგენს–20 კმ/სთ. ასევე გაანგარიშებულია სხვადასხვა მნიშვნელოვან პუნქტებთან და საჯარო სივრცეებთან დამაკავშირებელი მიმართულებები, ასე მაგალითად: სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტამდე მანძილი შეადგენს–14,9 კმ–ს და ავტომობილით დაიფარება–21 წთ–ში, ადლიის გაფორმების ეკონომიკური ზონა–3,7 კმ, დაიფარება–7 წთ–ში, პორტის გაფორმების ეკონომიკური ზონა–9,3 კმ, დაიფარება–17 წთ–ში, ბათუმის რკინიგზის სადგური–11,3 კმ, დაიფარება–20 წთ–ში, ბათუმის ავტოსადგური–7 კმ, დაიფარება–18 წთ–ში.

საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილია მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა 621 ბინაზე. დღევანდელი მოცემულობით როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ქ. ბათუმში ავტომფლობელთა რაოდენობის მზარდი ტენდენცია კვლავ გრძელდება, შესაბამისად ასეთ პირობებში აუცილებელია ავტომფლობელი მაცხოვრებლებისათვის გათვალისწინებული იქნეს საპარკინგე სივრცის მოწყობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ავტომანქანების სიმრავლემ, საკვლევი ობიექტის მიმდებარე ქუჩებზე გამოიწვიოს ავტომანქანების ნაკადების მოძრაობის შეფერხება. აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს ობიექტს გააჩნდეს ინდივიდუალური მიწისქვეშა და/ან მიწისზედა ავტოპარკინგები. სტატისტიკური მონაცემებით საშუალოდ ქ. ბათუმის სინამდვილეში მობინადრეთა 20-30 პროცენტი წარმოადგენს ავტომფლობელს. განსათავსებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებულია 150 მიწისქვეშა საპარკინგე ადგილი და მიწისზედა პარკინგი 50 ავტომობილზე, რაც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

მოცემული საავტომობილო გზა არის მოასფალტებული და ორ ზოლიანი. გზის სავალი ნაწილის განივი ჭრილი შეადგენს 6 მეტრს. გზას არ გააჩნია საფეხმავლო ბილიკები და ტროტუარები, არ არის ველო ბილიკები და სხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობები. გზის ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა. მისაბმელიანი და ნახევარმისაბმელიანი სატვირთო ავტომობილების მოძრაობა დაუშვებელია, რადგანაც გზის მოცემულ მონაკვეთს გააჩნია ორი 90 გრადუსიანი მკვეთრი მოსახვევი, სადაც დიაგონალური ჭრილი არ აღემატება 9 მეტრს. შესაბამისად აღნიშნული სატვირთოების მანევრირება შეუძლებელია ან საფრთხის შემცველია. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით მოცემული გზის გამოყენება ხდება ძირითადად ადგილობრივი ავტომფლობელების მიერ და უფრო ნაკლებად გამოიყენება როგორც გამჭოლი გზა აეროპორტის გზატკეცილსა და მარია და ლეხ კაჩინსკების ქუჩას შორის. ასევე გამჭოლ გზაზე დანიშნულია და დადგენილი გრაფიკის რეჟიმში მუშაობს მუნიციპალური ავტობუსი მარშრუტით N 2.

კოტე აფხაზის N 43–დან უახლოესი ,,ვისოლის“ ავტოგასამართი სადგური მდებარეობს აეროპორტის გზატკეცილზე და მისასვლელი მანძილი შეადგენს 900 მეტრს. საერთო სარგებლობის ავტოსადგომი, მოცემული ობიექტიდან 1000 მეტრ რადიუსში არ არის წარმოდგენილი. უახლოესი ფასიანი პარკირების ზონა განთავსებულია მარია და ლეხ კაჩინსკების გამზირზე სატუმრო ,,ეიფორია“–ს მიმდებარედ და მანძილი შეადგენს 700 მეტრს.

გეგმარებითი ერთეულის მოცემული განაშენიანების გეგმის და ქალაქის პერსპექტიული განვითარების მიზნით, 84 გრძივი მეტრის მონაკვეთში მიზანშეწონილად მიგვაჩნია არსებული 6 მეტრიანი სიგანის გზის გაფართოება. რეკომენდირებულია დაპროექტდეს მესამე კატეგორიის შიგა გზა, რომლის პარამეტრები იქნება: სავალი ნაწილი– ორ ზოლიანი–8.0 მეტრი, საფეხმავლო ტროტუარი–3 მეტრი და ველო ბილიკი–1მეტრი, ჯამურად–12 მეტრი. ასევე ტერიტორიაზე მიზანშეწონილია საპარკინგე სივრცის მოწყობა და მიწიქვეშა ავტოსადგომი. შენობა–ნაგებობის გარე პერიმეტრის გასწვრივ შესაძლებელია ავტომანქანის ერთზოლიანი სავალი ნაწილის მოწყობა–3 მეტრიანი განივი ჭრილით და შენობის სამი გვერდის მხრიდან შემხვედრი ნაკადის გვერდის ასაქცევად სპეციალური ჯიბეების განთავსება.

იმისათვის , რომ კოტე აფხაზის ქუჩის მხრიდან არ მოხდეს სატრანსპორტო ნაკადის გადატვირთვა, მიზანშეწონილია საკვლევი საამშენებლო ობიექტისათვის მოეწყოს ალტერნატიული გზა, ორზოლიანინი 7 მეტრიანი განივი ჭრილით, სამხრეთის მიმართულებით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საკვლევი საამშენებლო ობიექტის აშენება და მისი ფუნქციონირება ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებულ საერთო სარგებლობის საგზაო ინფრასტრუქტურაზე.

საავტომობილო ტრანსპორტის

ინჟინერ–მექანიკოსი ბიძინა ბიბილეიშვილი

22.03.2021 წ.

1 გეგმარებითი ერთეულის ეკოლოგიური მდგომარეობა

გეგმარებითი ერთეულზე არ არის განთავსებული, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებელი ობიექტები და შესაბამისად გეგმარებითი ერთეული არ ახდენს უარყოფით გავლენას ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. გეგმარებითი ერთეულის მთლიანი ფართობი დაფარულია ნაშენი ტერიტორიით, შედგება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებისაგან. გეგმარებითი ერთეულის მომიჯნავე ქუჩა მოპირკეთებულია ასფალტობეტონის საფარით, გრუნტის წყლები ჩაედინება სანიაღვრე არხებში და ნაკვეთების გრუნტებში. მიმდებარე საჯარო სივრცეში ხე-მცენარეები არ არის წარმოდგენილი, მიწის ნაკვეთებზე დარგულია ციტრუსოვანი კულტურები და სხვადასხვა სახის ხეხილი. ტერიტორიაზე არ ხდება ბუნებრივი რესურსების გამოყენება. ნარჩენების გატანა ხორციელდება ქალაქ ბათუმის ნაგავსაყრელზე. დაცულია აკუსტიკური რეჟიმი, რადგან ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ხმაურით დამაბინძურებელი ობიექტები.

გეგმარებით ერთეულის მიმართ აკუსტიკური რეჟიმი რეგულირდება:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით;

„ქ. ბათუმში, ღამის საათებში ფეიერვერკების და სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენების შეზღუდვის ღონისძიებათა შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 26 ივნისის #105 განკარგულებით;

„საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ზონებში გადაჭარბებული ხმაურის (მუსიკალური ჟღერადობის) აღკვეთის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 30 ივლისის N124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 21 მაისის #122 განკარგულებით;

ზემოთხსენებული განკარგულების მიხედვით დასაშვები დონეები:

ა) მუსიკალური ანსამბლების გამოსვლების დროს _ 80 LA ექვ. დბ. A და 85 LA მაქ. დბ.A A;

ბ) ელექტროაკუსტიკური სისტემების მუშაობის დროს _ 65 LA ექვ. დბ. A და 70 LA მაქ. დბ. A;

გ) ყველა ტიპის საკვებ-გასართობ დაწესებულებაში, რომლებიც განთავსებულია ბულვარის ტერიტორიაზე, კერძოდ:

გ.ა) თუ ასეთი დაწესებულება განთავსებულია „ახალ ბულვარში“, ლეხ კაჩინსკის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე 07.00 საათიდან 24.00 საათამდე - 75 LA ექვ. დბ. A და 80 LA მაქ. დბ. A, ხოლო 24.00 საათიდან 07.00 საათამდე - 40 LA ექვ. დბ. A და 45 LA მაქ. დბ. A. (გაზომვის პარამეტრი დაწესებულებიდან 60 მეტრის რადიუსში).

გ.ბ) თუ ასეთი დაწესებულება განთავსებულია „ახალ ბულვარში“, შ. ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ლეხ კაჩინსკის ქუჩიდან ეგ. ნინოშვილის ქუჩამდე 07.00 საათიდან 24.00 საათამდე - 50 LA ექვ. დბ. A და 55 LA მაქ. დბ. A, ხოლო 24.00 საათიდან 07.00 საათამდე - 30 LA ექვ. დბ. A და 35 LA მაქ. დბ. A. (გაზომვის პარამეტრი დაწესებულებიდან 20 მეტრის რადიუსში).

გ.გ) თუ ასეთი დაწესებულება განთავსებულია „ძველ ბულვარში“, ეგ. ნინოშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე 07.00 საათიდან 2400 საათამდე - 35 LA ექვ. დბ. A და 40 LA მაქ. დბ. A, ხოლო 24.00 საათიდან 07.00 საათამდე - 20 LA ექვ. დბ. A და 25 LA მაქ. დბ. A. (გაზომვის პარამეტრი დაწესებულებიდან 20 მეტრის რადიუსში).

დ) მოსაზღვრე საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე 07.00 საათიდან 24.00 საათამდე - 35 LA ექვ. დბ. A და 40 LA მაქ. დბ. A, ხოლო 24.00 საათიდან 07.00 საათამდე - 20 LA ექვ. დბ. A და 25 LA მაქ. დბ. A. (გაზომვის პარამეტრი დაწესებულებიდან 20 მეტრის რადიუსში).

ე) ყველა ტიპის საკვებ-გასართობ დაწესებულებაში, რომლებიც განთავსებულნი არიან „ძველი ბათუმის“ ტერიტორიაზე, ასევე ქალაქის სხვა დანარჩენ ნაწილში მდებარე საცხოვრებელ შენობებში ან მათ უშუალო სიახლოვეს 07.00 საათიდან 24.00 საათამდე - 25 LA ექვ. დბ. A და 30 LA მაქ. დბ. A (გაზომვის პარამეტრი დაწესებულებიდან 10 მეტრის რადიუსში), ხოლო 24.00 საათიდან 07.00 საათამდე აიკრძალოს მუსიკალური ანსამბლების, ელექტროაკუსტი¬კური სისტემისა და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტების მუშაობა.

1.1 ჰაერი

გარდა ბათუმის ნავთობტერმინალისა, ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფილის წარმოებები, ასეთი შესაძლოა იყოს: მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა, საწვავის შენახვა/რეალიზაცია და სხვა. მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი.

ქ. ბათუმში არსებული სადამკვირვებლო სადგურები, სადაც პერიოდულად ხდება ჰაერის დამაბინძურებლებზე დაკვირვება, განთავსებულია რუსთაველის ქუჩაზე (დრამატულ თეატრთან), ანგისის პოლიციის შენობასთან, ლ. ასათიანის ქუჩაზე (ყინულის სახლთან), მაიაკოვსკის ქუჩაზე (ტერმინალის ცენტრალურ შესასვლელთან) და ფერიის მთაზე (საბაგიროს სადგურთან). ამის გარდა, აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებულ სადგურზე ჰაერის დამბინძურებლებზე დაკვირვება მიმდინარეობს საათობრივად, ხოლო დანარჩენ სადგურებზე – გარკვეული პერიოდულობით. არსებული სადგურებზე ხდება მტვრის, გოგირდის დიოქსიდის, აზოტის ოქსიდების და სხვა დამაბინძურებლების გაზომვა.

